

ივერია

ფასი ნომრისა 6 კაპეიკი.

№ 25

კვირა, 20 აპრილი

მოქალაქიური გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; სუთი თვით 2 მან. 1877—1906 აღდგესი: ქუთაისი, ტრევილინის ქ., № 5, ტელეფ. № 922.

სპარსი. — ეხლანდელი მომენტი, კიტა აბაშიძისა. — პატარა ფიქრები, ა — ლისა. — სოციალისტური მოძრაობა ებრაელებში, თ — ლისა. — წარსულის მოგონებანი, არტურ ლეისტისა — მტერი და მოყვარე თანამედროვე მოძრაობისა, ა. ხახანაშვილისა. — ხევსური ბერძნობა, (ლეკსი) ვაჟა ფშავე — ასი. — ავტონომია, (ლაზარევისა) თარგმანი ს — ისა. — სინდიაკატები და ტრესტები, მ — ისა. — პატრიოტი, ე. ი — სა.

ახლანდელი მომენტი

ამას წინად „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში მოყვანილი იყო ერთის პოლონელის აზრი ჩვენი ჟურნალ გაზეთების შესახებ, სადაც უცხოელი გვიკვირებდა: თქვენი ჟურნალ-გაზეთობა გავსებულია რუსეთის ამბებით და თვით თქვენი ცხოვრების შესახებ კი სრულიად არა არის რაო. ეს ისეთი უეჭველი ქეშმარიტებაა, ისეთი თვალსაჩინო მოვლენაა, რომ ძალაუფლებურად იქცევა ყველას ჟურნალს.

მათლაც, ჩვენი ყოველივე ფეხის გადადგმა ბრმა, მონური მიმბაძელობაა რუსეთის ცხოვრებასადმი. თუ კი რამეა ჩვენში ევროპიდან გადმოღებული, „რუსეთის სამზარეულოში“ შემზადებული და მერე ისეა ხალხის საკვებად გამოტანილი. აა პოლიტიკურსა და ლიტერატურულ დასსაც უნდა ეკუთვნოდეს ქართველი კაცი, იგი ცხადად თუ ფარულად რუსულ კულტურის თაყვანისმცემელი მონაა. ეს მონობა იქამდის მიდის, რომ ჩვენ პი კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის დამაარსებელიც კი გაჩნდნენ, თუცა ღმერთი, ხატი — ამ პარტიას ჩვენში ნიადაგი არ მოეპოვებოდა! როცა რუსის მემარცხენების ერთი ჯგუფი აღგნდა ამ პარტიას, რუსეთის ხალხის „ცრუმორწმუნეობას“ იღებდა მხედველობაში და რუსეთის ხალხისაგან მეფის მოყვარეობას ისეთ დიდმნიშვნელოვანად სთვლიდა, რომ მონაკრულ პრინციპს ვერ აუხვია გვერდი. არა მგონია თვით ერთი კაცი გამოიძებნოს ჩვენში, რომელმაც იმის დამტკიცება იწყოს, ვითომ ქართველი ერთი ამოშიაც „ერთობორწმუნე“ იყოს რუსეთის ერისა, და ამით შეეძლოს გაამართლოს კადეტების განგნა ჩვენში, ახლა აბა ჩვენებურ სოციალდემოკრატებს შეხედეთ: არ არის ქვეყანაზე სოციალდემოკრატია, რომელიც ასეთის უარყოფით ეკიდებოდეს ნაციონალურ საგანს, როგორც ჩვენი. ქართველი სოც. — დემოკრატები გააფთრებული ეომებიან ავტონომიის აზრს და ხალხს არწმუნებენ, ავტონომისტის და ჯაშუში — ქვეყნის გამყიდველი ერთი და იგივეაო.

რით აიხსნება ეს, თუ არ იმ ვასაოცარის მონობით, რომელშიაც ვიპოვებით რუსულ კულტურის წინაშე? რუსულ-კულტურის „ძღვევა-მოსილობა“ ისე აბრმავეებს — იქნებ შეუგნებლადაც — ჩვენებურ უკიდურეს პარტიასაც კი, რომ თუ რუსულ ქებაში არ გადადულდა ქართველი ერთი, ისე — ჰკონია მას — ველარავთარ ხერიან აზრსა და მიმართულებას ვერ

შეითვისებს. რამდენიც უნდა ვიყვიროთ რუსეთის ბიუროკრატიულ დესპოტიზმის წინააღმდეგ, ამ ბიუროკრატიაში ისეთი დალი დაასვა ჩვენს ცხოვრებას, რომ იმის ამოშლას, მგონი, საუკუნეები მოუნდეს. კაცმა სთქვას, ჩვენი ერთი ეროვნულის შეგნებითა და თვითცნობიერებით არასდროს არა ბრწყინვალა, მაგრამ ასის წლის მაგარმა კლანჭებმა ისეთს კალაპოტში გაატარეს იგი, რომ ჯერაც გონს ვერ მოსულა.

ამ პოლიტიკურ მონობას ზედ დაერთო ჩვენი სულიერი მონობაც. თუმცა შეურყეველი სინამდვილეა, რომ რუსეთის ხალხსა, მის მდებარეობას, ისტორიას და კულტურასა და ქართველ ერის ცხოვრებას შორის დიდი განსხვავება არსებობს; თუმცა ზერეფე შეხედულებითაც კი შეიძლება კაცმა შეატყოს, რომ არ არის ქვეყანაზე ერთი, რომლისგანაც ისე განსხვავდებოდეთ, როგორც რუსისაგან, — ყოველ შემთხვევაში ეს სულიერი მონობა და ყურმოკრილი მორჩილება მაინც გაბატონებულია ჩვენს ცხოვრებაში. და ნუ თუ ერთი საუკუნე არ არის საქმარის იმისთვის, რომ ეს საანბანო ქეშმარიტება გაივით, ჩვენს თავს დაუეკირდეთ, ჩვენს ცხოვრებას ჩაუფიქრდეთ და მის შესაფერად ვეძიოთ გზები ჩვენის კულტურის წარმატებისათვის?

თუ დღესაც ქართველი ერთი თავის თავს ვერ გამოცნობს, თუ დღესაც თავის ცხოვრებას არ დაუეკირდება და მთელ თავის ძალ-ღონეს არ მოახმარებს თავის გზის გაკვლევას, შეიძლება ითქვას თამამად, რომ მისი საქმე წასულია. რუსეთის რევოლუცია, რომელიც მწარე დღეებს განიცდის, მთელ თავის საშინელებითა და ძლიერებით ყველაზედ უფრო ჩვენს ხალხს დაატყდა თავს. რა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებული განაპირა ქვეყნები ყოველთვის უფრო ადვილად გახდებიან გალომებულ რეაქციის მსხვერპლად, შეიძლება ბიუროკრატია მან-დამან თავზედ ხელიც გადაუსვას ნამდვილ რუსს, ზოლო განაპირა ადგილებში კი ისე მოიქცეს, რომ შიშის ხარი დასცეს იქაურ მცხოვრებთა. ფინლიანდია და პოლონეთი, თავის კულტურის წყალობითა, თავის თვითგამორკვევისა და შეგნების გამო, რასაკვირველია, მხნე დაუხედენ რეაქციის და იქ მაგდენად ვერა გაბედა რა გააფთრებულმა მტარფალობამ. საპაგიეროდ ბალტიის მხარე და ჩვენი ქვეყანა იგდეს ხელში და აქ ამოიყარეს გულის ჯავრი, იმიტომ, რომ ჩვენ ლაქლაქისა და მიტინგებზე სიტყვების ლაპარაკის მეთი არა გაგვიკეთებია რა და სწორედ იმ ხანა კატას დავემსგავსეთ, რომელიც არა თუ თავს ვერ იჭერს, თვით ეხვევა ხაფანგში. იანვარ-თებერვლიდან მოკიდებული დღემდის რეაქციის სუსხი ბოლს გვადნის ზურგზე და იმისთანა დღე არ გავა, რომ თვითმპყრობელობის ერაველმა „ქრისტის მოყვარე“ მცველებმა განადგურებისა და აკლების ახალ-ახალი მაგალითები არ გვიჩვენონ.

ამისთანა მწარე დროს ერმა, ისე როგორც ყოველმა კერძო კაცმა თავის უბედურების დროს, მთელი თავისი ცხოვრება უნდა გადასინჯოს, თავისი მომავალი გაითვალისწინოს, თავისი შეცდომები შეიგნოს და ახალი გზა გაიკაფოს და ან ძველი ისე შეაკეთოს, რომ ზედ სიარულმა ფეხის გული არ დაჰვლიჯოს. მაგრამ ჩვენ ამას არ ჩავდივართ და ისევ მთელი აზრი და ფიქრი ჩრდილოეთისაკენ გვაქვს მიპყრობილი, ვაზვიადებთ იქაურ ამბებს და შეცდომას შეცდომაზე ვაწინებთ. ქართველობას რომ ისტორიული ყნოსვა არ დაჰკარგოდა, იგი რომ არა თუ პოლიტიკურად — სულითა და გონებითაც არ დამონებოდა რუსეთის „ძლიერ-მოსილ“ კულტურას, და მთელი თავისი გონება რომ დესპოტიურ კლასპატში არ ჩაემწყვდია, — ქართველ ერის ბედ-იბაღი სხვაგვარად გადაწყდებოდა. ამ ასის წლის განმავლობაში ორჯერ ჩაიდინა ქართველმა ერმა დიდი ისტორიული შეცდომა. ყირიმის ომის დროს, როცა რუსეთის მთავრობა გავერანგებული იყო, ჩვენს ერს შეეძლო სხვაგვარად მოეწყუო თავისი საქმე, თუ ყ ერთი ბეწო მინცი შერჩენოდა მის თავისი არსებობის იმედი და სურვილი. ასეთი მომენტი იყო ამ უკანასკნელ დროს, მაგრამ ეს მომენტიც ხელიდან გაგვიხლტა. ამით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არა გავგეგვება რა არც ჩვენის ისტორიისა არც ჩვენის ცხოვრებისა, არც ჩვენის ერისა და ხალხისა. ისტორია საფასვით დაფასებს ჩვენის ერის უგუნურებასა და უვიცობას, რომელსაც თავისი ვერა გავეგო რა და რუსეთის იმპერიის გარდაქმნას ლამობდა. ჩვენი დეპუტატები ტყვილა კი არ გაიძაბოდნენ, სრულიად რუსეთის ხალხის წარმომადგენლები ვართო: მართლაც რომ ჩვენს ხალხს უნდოდა რუსეთი გადაეკეთებია და თავის გზაზედ წაეყვანა. თუმცა რუსეთის ცხოვრებისა და ისტორიის რა უნდა ცოდნოდა იმ ხალხს, რომელმაც თავისი შინაური არა იცოდა რა. ასეთის ბუქნაობით, რასაკვირველია, თავი შევირცხვინეთ და სახელი გავიტეხეთ, მაგრამ უცოდინარობა, თავისი და სხვისი საქმის შეუგნებლობა ხომ ისეთი თვისებაა, რომელიც ყოველთვის სკარბობდა და დღესაც სკარბობს ჩვენს ქვეყანაში.

სამინელ დროს განიცდის ჩვენი ქვეყანა. ჩვენი მეთაურების მოვალეობაა ამ დროს დაუკვირდნენ გულდასმით და საფუძვლიანად. აუცილებლად საქირთა ერთიანად გადახედულ და გადასინჯულ იქნეს ჩვენი მოქმედების ჯგემა ვინაიდან იგი უსარგებლო გამოდგა. ამისთვის კი საქირთა მეტი შეგნება თავისი ერის ყოფა-ცხოვრებისა, მისი წარსულისა და აწმყოსი და მეტი კეთილშობილება აზრის და მისწრაფებისა. კეთილშობილება გონიერის კაცისა კი იმაში გამოიხატება, რომ თამამად აღიაროს თავისი ცოდვა და მადლი და შეუდრეკეოდ წავიდეს იმ გზაზედ, რომელიც მიაჩნია ერთადერთ გზად ცხოვრების საუკეთესო მომავლისკენ. ამით სრულიად იმის თქმა არ მინდა, რომ ზურგი შევავტკიოთ დღე ვანდელ დღეს, პირი ვუბრუნოთ რუსეთის ცხოვრების დღე-ღილს, ანა და უარყუთ ის იდეალები, რომელიც საკაცობრიო ცხოვრების მანათობელ ვასკვლავად არის მისაჩვენებ. სრულიად არა, — მე მინდა ჩვენმა საზოგადოებამ გამოიჩინოს მეტი თავისებურება უოკელ მოქმედებაში, მე მინდა ყოველგვარი ჩვენი მოქმედება ჩვენის ცხოვრების აუცილებელ მიზანს ემთხვეოდეს. ვინაიდან იგი უამისოდ მკვდარი იქნება. ჩვენის ცხოვრების აუცილებელ მიზანსარობას კი არაკვევს მრავალი პირობა, მრავალი მიზეზი. რომელსაც შესწავლა უნდა. ვერავითარი პოლიტიკური მოღვაწე ვერ ჰყოფს უარს მეცნიერულ იარაღს ბრძოლაში. მეცნიერება კი გვაწვავდის, რომ

ცხოვრება არის შედეგი მრავალ რთულ მოვლენათა შეერთების ძალისა და რომ ამ მოვლენათა შეუგნებლობა, მათი უყურადღებოდ დატოვება მარტო დამარცხებას და სასოწარკვეთილებას უქადის მათს აბუჯად ამგვებ პოლიტიკურ მოღვაწეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი ცხოვრება რუსეთისა და ჩვენი სწვა და სხვა გზით მიდიოდა რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენსა და რუს ხალხს შორის არსებობს დიდი განსხვავება, შექმნილი ისტორიისა და ბუნებისაგან. ამ განსხვავებას, — ქართველ ერის ისტორიულად შემუშავებულ თავისებურობას, — ანგარიში უნდა გავუწიოთ და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველ ერს შეუძლია განახორციელოს თვით უღიადესი კაცობრიული იდეალები მხოლოდ მაშინ, თუ იმ პირობებით და იმ იარაღით ისარგებლებს, რაც ბუნებასა და ისტორიის მისთვის ჩაუბარებია. და ვინც ამას ყურადღებას არ აქცევს, იმას ის მოუვა, რაც იქნის იგავის გმირს, რომელმაც მიცემული ქანქარი წაიღო და მიწაში დაფლა და ვერაფერი ხეირი ვერ მოატანია, მაშინ როდესაც სხვებმა გააორგეს და გაასამეს მიცემული განძი.

ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველი ისტორიული მსვლელობა ჩვენის ცხოვრებისა დამთავრდა რუსეთთან ხელშეკრულობით, რომელსაც უზრუნველ უნდა ეყო ჩვენი ეროვნული არსებობა. მაგრამ ამ ხელშეკრულობაში შეტანილ პირობებს არას დროს არ ღირსებია განხორციელება. ხელშეკრულობა დარღვეულია და ჩვენი მოვალეობაა ეს არ დავივიწყოთ, რომ ეს ისტორიული უფლებები საბუნებო ისტორიულ სიზმრად არ გადაიქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ ვიქნებით ღირსი ერის სახელი ვატაროთ ხსენებული ისტორიული საბუთი ჩვენ გვაძლევს ეროვნულ თვითმმართველობის ანუ ავტონომიის სჯულს უფლებას, და მთელის ქართველ ერის პოლიტიკური მეცადინეობა და მისწრაფება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ეს უფლება რეალურად განხორციელდეს, ვინაიდან მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ჩვენს ცხოვრებაში გავატაროთ ყველა ის ძირითადი სოციალური რეფორმები და ცვლილებანი, რომელიც ყოველ დემოკრატიულ პარტიას საბრძოლველ საგნად აქვს დასახული. რასაკვირველია, „უფლების“ განსახორციელებლად საჭიროა ძალა, რომელიც ვანყენებულ „უფლებას“ აძლევს რეალურ საფუძვლიანობას, მაგრამ შესაძლებელია ეს ძალა წარმოშვას რუსეთის შინაურ ცხოვრების მიმდინარეობამ ან საგარეო პოლიტიკურმა ურთიერთობამ, და ასეთ შემთხვევაში ჩვენ კიდევ ხელცარიელი დავრჩებით, თუ არ გვექმნა ჩვენი ეროვნულ მდგომარეობის შეგნება და პოლიტიკური შორსმჭვრეტლობა. ჩვენი სულწასულობის ბრალა, რომ ის, რაც ამავ ეწუთში არ აგვისრულდება, სამუდამოდ შეუძლებელი და დაკარგული გვგონია...

პატარა შიშრუპი

საქართველოს ავტონომიის შესახებ ჩვენებურ სოც. დემოკრატიის მეთაურები და იდეოლოგები ორ წყალ შუა ჩაკვიდნენ. ერთის მხრით ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში პრესაში, პროკლამაციებში, მიტინგებზე, რეფერატებში და ყველგან. სადაც კი შეძლებოდა ლაპარაკი, განუწყვეტლივ სულ იმას უმტკიცებდნენ „შეგნებულ“ პროლეტარიატს, რომ ავტონომია ბატონ-ყობის აღდგენას ნიშნავს და შეუძლებელია სოციალიტი ავტონომიის მომხრე იყოსო. მეო-

რე მხრით იგივე იდეოლოგიები ხედავდნენ, რომ პროლეტარიატის საფრთხობელია ავტონომიის რუსეთში ყველა თხოულობს, გარდა... ქართველ სოციალ-დემოკრატებისა. იმათმა მეთაურებმა კარგად იცოდნენ, რომ არც ერთ ფინს სოც. დემოკრატს ძილშიაც არ დაესიზმრება ფინლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ ისინი მაინც ყვიროდნენ, რომ პრინციპიალურად სოც.-დემოკრატები,—და მათ შორის, რასაკვირველია, ფინლანდელი სოც.-დემ., ყოველგვარ ავტონომიის წინააღმდეგნი არიანო. მეთაურებმა ისიც იცოდნენ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიას და ლატიშელ ს.-დემ. პარტიას კინკლაობა მოუვიდათ ავტონომიის შესახებ; ისიც იცოდნენ, რომ პოლონეთის სოც. დემოკრატიული პარტია პოლონეთისთვის ავტონომიის თხოულობს, რომ უკრაინის სოც. დემოკრატებიც თხოულობენ ავტონომიას, მაგრამ აგერ რამდენი ხანია მე მათ ლიტერატურას თვალ-ყურს ვადევნებ და ერთხელაც არსად შეგხვედრია, რომ მათ ეს ფაქტი აღენიშნოთ. წრევანდელ კონგრესზე პოლონეთის სოც.-დემოკრატთა პარტია იმ პირობით შეუერთდა რუსეთის სოც. დემ. პარტიას, რომ უკანასკნელს უნდა ეღიარებინა პოლონეთის ავტონომია, მაგრამ ვინ იცის რა მოსაზრებით, კონფერენციის რეზოლუციებში გამოსტოვეს სწორედ ის ადგილი, რომელიც ამ საგანს შეეხებოდა. პოლონელებმა თვითონვე გაახსენეს რუსეთის სოციალდემოკრატებს ეს პირობა, მაგრამ შეცდომა მხოლოდ ორიოდ გახეთმა აღნიშნა. ესლა უკრაინის სოც. დემოკრატიულმა პარტიამაც გამოაცხადა, რომ იგიც უერთდებოდა რუს. სოც. დემ. პარტიას იმ პირობით, რომ უკანასკნელმა უნდა აღიაროს და მხარი მისცეს მალოროსიის ავტონომიას.

მე რომ ქართველი სოც. დემოკრატი ვიყო, ერთ ალიაქოას ავტებავდი და სუყველას—ფინლანდიისა, ლატიშთა, პოლონეთისა და უკრაინის სოც. დემ. პარტიებს ზედ შუბლზე მივაკრავდი მოღალატისა და იუდას იარლიკს. როგორ! სოც. დემოკრატი და ავტონომისტი? ვანა შეიძლება ცეცხლისა და წყლის მორიგება?

არა, ხუმრობა იქით იყოს; საინტერესოა ვიცოდეთ, რას ფიქრობენ ახლა ქართველ სოც.-დემოკრატების მეთაურები. მათდა უნებურად უცებ აღმოჩნდა, რომ მთელ ქვეყანაზე ნამდვილი, მართმადიდებელი მარქსისტები და სოც. დემოკრატები მხოლოდ ქართველები ყოფილან, სხვები კი—პოლონელები, მოლოროსები, ლატიშები, ფინლანდელები და სხვა „ამხანაგები“—ქეშმარიტების გზას ასცდნენ და „მართმადიდებლობას“ უღალატეს. კიდევ ვიმეორებ, მე რომ სოც. დემოკრატი ვყოფილიყავ, ისე მოვექცეოდი „გზადახეულებს“, როგორც უწმინდესი სინოდი მოექცა ლევ ტოლსტოის: მარქსიზმის ეკლესიიდან განდევნიდი და საჯაროდ დაქუჩველიდი. მაგრამ მაინც საინტერესოა, რას გრძნობენ ჩვენებური „ამხანაგები“ იმის გამო, რომ მარტო ისინი დარჩენ პოლიტიკურ ცენტრალიზმის კუნძულზე? ჩემის აზრით ძალიან ეხამუშებათ ასეთი „მარტობა სულისა“, მაგრამ ამას ოდნავად არ შეიმჩნევენ სხვა და სხვა პირობებისა და მიზეზების გამო. შესახებ იმ „სხვა და სხვა პირობებისა და მიზეზებისა“, რომლის გამო ჩვენებური „ამხანაგები“ უარყოფენ საქართველოს ავტონომიას, ლაპარაკი არა ღირს, რადგან ამაზე აუარებელი მელანი და სიტუვა დახარჯულა. მე მინდა ადენიშნო ერთი მეტად საინტერესო პარადოქსი, რომელიც შეიძლება სრული ქეშმარიტებაც იყოს: ქართველებს ძვალსა და

ბრბილში გვაქვს გამჯდარი ერთგულება. დღემდის თავად ახნაურობა სულ იმის ცდაში იყო, რომ რუსეთის მთავრობისთვის როგორმე დაეპტკივებინა თავისი უქვეშევრდომილესი ერთგულება; ასევე იქცევიან ჩვენებურის სოც. დემოკრატებიც, რომელნიც მხოლოდ იმიტომ არ თხოულობენ თვითმმართველობას, რომ ეშინიანთ, ვაი თუ რუსეთის „ამხანაგებმა“ პროლეტარიატის ლალატი დაგვწამანო; ეშინიანთ და ფეციციბიან რუსეთის სოც. დემოკრატის, რომ ისინი ერთგული „ამხანაგები“ არიან და ლალატი ფაქრადაც არ მოსვლიათ. მაგრამ როდემდის?...

* *

ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის თანდათან მწვავედება. სინოდმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ქართველ სამღვდლოების გადაწყვეტილებას შესახებ იმისა, რომ ახალი ეგზარხოსი ნიკონი არ მიიღონ და მასთან არავითარი დამოკიდებულება არ იქონიონ. ახალი ეგზარხოსი დღეს თუ ხვალ უნდა ჩამოვიდეს, სინოდი ბრძანებას ბრძანებაზე გზავნის და ურჩ მღვდლების დასჯას თხოულობს; სინოდალური კინტორა ამ ბრძანებებს არ ასრულებს და ისე იქცევა, როგორც სრულიად დამოუკიდებელი დაწესებულება სინოდი თითქო არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქართველ სამღვდლოების გამოკალკეებას და ოფიციალურად აცხადებს, რომ „სინოდი და ობერ-პროკურორი მოხზრენი არიან კანფლიქტი ფართო რეფორმით იქმნას მოგვარებული, მაგრამ ქართულ ეკლესიის სრულს განცალკეებაზე ლაპარაკი კი არ შეიძლებაო“. კილო ამ განცხადებისა იმდენად ლაკონიური, იმდენად რიხიანი და მარტივია, რომ ფიქრიც არ შეიძლება იმის შესახებ, ვითომ შეიძლებოდეს „კანფლიქტის მოგვარება“. ესლა ცხადზედ უცხადესია, რომ ქართველ სამღვდლოებას ავტოკეფალიის ფაქტიურად ვანხორციელების მეტი აღარაფერი დარჩენია, რადგან სინოდის ნებართვით „ქართულ ეკლესიის სრულს განცალკეებაზე ლაპარაკი კი სულ მეტია“. ამ დღეებში ქუთაისში კრება ჰქონდათ ქართველ სამღვდლოების წარმომადგენლებს. კრებამ არ გამოაქვეყნა და არავის შეატყობინა თავისი გადაწყვეტილებანი, მაგრამ ის კი გვიგება, რომ სამღვდლოების ერთ ნაწილს კრებისთვის „სოფთობილე და წინდახედულობა“ ურჩევია. საქმე შეეხება ეგზარხოსის მიღებას და სინოდთან დამოკიდებულების მოსპობას, მაშასადამე „სიფრთხილე და წინდახედულობა“ იმას ნიშნავს, რომ საქირთა ეგზარხოსი მივიღოთ და იმ დროს ვუცადოთ, როცა თვითონ სინოდი ავტოკეფალიას კალთაში ჩავვიდებსო. იმედია, სინოდის ზემოხსენებულ განცხადების შემდეგ ქართველ სამღვდლოების ეს ნაწილიც „ფრთხილად და წინდახედულად“ მოიქცევა რჩევის დროს და საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ქართულ ეკლესიას და სამღვდლოებას მხოლოდ ორი გზა აქვს: ან გულხელდაკრევილი იჯდეს და უცადოს სინოდის მოწყალებას, ან მოთმინების თასი გადმოაბარუნოს და მტკიცედ განაცხადოს: კმარა! მე აღარ მსურს თქვენი ყურმოქრილი მონობა!

არ ვიცი, იქნება სამღვდლოებამ მესამე და ყველაზე სახიფათო გზა აირჩიოს,—იქნება ის კომპრომისებისა პოლიტიკას დაადგეს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ თუ მან ეზლანდელი მომენტით არ ისარგებლა, გამანთავისუფლებელ მოძრაობის ტალღა არ გამოიყენა და საქერმისოლ გადასლა ავტოკეფალიის საქმე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ისტორიულ მოგონებად გადაიქცევა, ქართველ სამღვდლო...

ებას კი ნება მიეცემა ხანდახან ავტოკეფალიაზე იოცნებოს და მოიგონოს ის დრო, როცა მას ამისთვის მოხერხებული დრო ჰქონდა, მაგრამ თავის „სიფრთხილისა და წინდახედულობის“ გამო იმ დროით ვერ ისარგებლა და პირღია დარჩა.

„უწმინდეს“ სინოდს განუზრახავს საქართველოს სამღვდლოებას „ფართო უფლება მიენიჭოს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვისა, დაარსდეს ქართული სკოლები ქართულ ენაზე სწავლებით, საცა განათლებას მიიღებენ მწუხმენი, რაიც წინ წასწევს განათლების საქმეს; ფიქრობენ გამოჰყონ საქართველოს საეგზარხოზოდან ცალკე ქართული ეპარქიები იქ, საცა ქართველობა მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენს; საქართველოს ეგზარხოზის ტიტულიც შეიცვლება, ადგილობრივი სინოდალური კანტორა კონსისტორიად გადაკეთდება და სხვა“. სინოდის შემოქმედების ძალა ამაზე შორს ვერ წასულა: ეგზარხოზის ტიტულის შეცვლა და სინოდალურ კანტორის მაგივრად კონსისტორიის დაარსება — ეს არის ის რეფორმები, რომლითაც უნდა „მოგვარებულ იქმნას კონფლიქტი“

ნუ თუ ეხლაც მოიპოვება ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ ტრტულების შეცვლითა და კანცელარების გადაკეთებით შესაძლებელია „კონფლიქტის მოგვარება“ და ან „წინდახედულობით“ (ე. ი. მორჩილებით) უფლებების მოპოვება? ასეთი პირობები, როგორც ვტყობა, იმერეთის სამღვდლოებაში გამოჩენილიან.

სამწუხაროა...

ა—და.

სოციალისტური მოძრაობა მხრეთებში

სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1896 წელს მოზღდარ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზედ აღიარა, რომ ებრაელებში სოციალისტურ მიმართულების განვითარებას მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ებრაელების ინტელეგენცია სოციალ-დემოკრატიის უმაღლეს გონებრივ ძალას წარმოადგენს, ებრაელების პროლეტარიატი თავის კლასიურ და პოლიტიკურ შეგნებით რუსეთში მცხოვრებ სხვა ერთა პროლეტარიატზე გაცილებით მაღლა სდგას, ამ პროლეტარიატის ბრძოლა ეკონომიურ პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოვებლად თავის სიმტკიცითა და გაბედულობით დღესაც სამაგალითოდ მიჩნეული არის. ებრაელების სოციალისტურ ძალებს აერთებს ეს ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია „სრულიად ებრაელების მუშათა კავშირი რუსეთისა და პოლონეთში“, ან, მოკლედ, „ბუნდი“ (ე. ი. კავშირი) და რომელიც 1897 წელს დაარსდა იმ განსაკუთრებულმა პირობებმა, რომლებშიაც ჩაყენებულია რუსეთის მთავრობისგან ებრაელები, მათს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, — ბუნდსაც — განსაკუთრებული ელფერი მისცა.

რუსეთში მცხოვრები რუსი თუ პოლიტიკურ დამონებას განიცდის, ებრაელები, პოლიტიკურს გარდა, უბრალო სამოქალაქო უფლებებსაც მოკლებულნი არიან. ცხოვრების არც ერთი ისეთი დარგი არ არის, რომელშიც ებრაელების უფლება შეზღუდული არ იყოს. ებრაელებს უკრძალევენ სახელმწიფო სამსახურს, უკრძალევენ სოფლებში დასახლებას, უკრძალევენ მიწების ყიდვას ან იჯარით აღებას, უკრძალევენ სასწავლებლებში ბავშვების თავისუფლად მიბარებას, უკრძა-

ლავენ ქალაქის თვითმმართველობაში თავისუფლად მონაწილეობის მიღებას, უკრძალევენ საზღვართან 50 ვერსის სიშორეზე დასახლებას, უკრძალევენ... და ეს ყოველმხრივი აკრძალვა საუკეთესოდ ახასიათებს ებრაელების მდგომარეობას რუსეთში. მაგრამ ებრაელებისათვის ყველაზედ უფრო საშინელია ის კანონი, რომლის ძალითაც მათ საცხოვრებლად მხოლოდ რამდენიმე გუბერნია აქვთ მიჩენილი; ამ გუბერნიებს გარეთ ცხოვრება მათ აკრძალული აქვთ. ალექსანდრე II დროს, როდესაც რუსეთში საზოგადოდ ლიბერალურმა სიომ დაჰბერა, ზოგიერთ ებრაელს აქა-იქ დასახლების ნებას აძლევდნენ, მაგრამ მის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრე მესამემ ზედმეტო სიმკაცრე და დაუნდობლობა გამოიჩინა და ებრაელებს ყველა წინეთ მიცემული კრძალვანი შედევითაც წაართვა. მის მემკვიდრის დროს მთავრობამ ებრაელებს საშინელი დევნა დაუწყო, მათ წინააღმდეგ შეუზღებელ რუსებს ამახედრებდა, რასაც ბოლოს ებრაელების საშინელი დარბევა დაწიოკება თან მოჰყვა.

ახალი მოძრაობა პირველად ქალაქ ვილნაში დაიწყო. ამ ქალაქში მრავლად სახლობენ ებრაელები და აქ მათი გონებრივი ცენტრია. აქედან გამოდიოფენ პროპაგანდისტები, რომლებიც სხვა და სხვა ქალაქებში ხელს უწყობდენ ებრაელ მუშა ხალხის გამოფხზულებას, აქაური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ებრაელების სხვა და სხვა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს მეთაურობდა და წიგნებისა თუ პროკლამაციების გამოცემით მუშა ხალხს გონებრივ საზრდოსაც აძლევდა.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ებრაელებში პირველად 1887 წელს დაიწყო ვილნაში, სადაც პირველი მუშათა წრეებუ დაარსდა. საზოგადოდ პირველად ამ მოძრაობას მიზნად ჰქონდა მუშა ხალხში შეგნებისა და ცნობიერების შეტანა, მუშებში საკუთარ ინტელიგენციის შექნა და მომავალ პროპაგანდისტების შეუშავება, მუშათა ფართო წრეებში აგიტაციის გაწევა. კავიტალისტებთან ან მთავრობასთან აშკარა ბრძოლა მოძრაობის მამინდელი მეთაურებს სასურველად არ მიაჩნდათ, რადგანაც მათის აზრით ებრაელების პროლეტარიატი საამისოდ ჯერ საკმარისად მომზადებული არ იყო. მაგრამ ცხოვრებამ თვითონ დაარღვია მეთაურების ასეთი შეხედულება, — ჯერ გაუბედავად აქა-იქ პატარა გაფიცვები დაიწყო, შემდეგ ეს გაფიცვები გახშირდა, გაფართოვდა და ბოლოს ხალხის ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგს მოედვა. მაგრამ გაფიცვებში გასამარჯვებლად მუშებს აკლდათ ორგანიზაცია, მეთაურობა, ბრძოლაში მეტის შეგნებას შეტანა მუშა ხალხი ამნაირად ბრძოლის გზას დაადგა და ორგანიზაციებმაც ეს შეიგნეს და თავიანთი წინანდელი მოქმედება შესცვლეს, — მათ დაანებეს თავი წრეებს და წრეებში მუშების განვითარებას და ხალხში სააგიტაციო გაეიდნენ.

ამ ხალხში გასვლას ერთი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. წინეთ წრეებში მუშებთან რუსულად ლაპარაკი და პროპაგანდა შეიძლებოდა, რადგანაც წრეებში უფრო შეგნებული მუშები შედიოდნენ, ახლ კი, მასიურ აგიტაციის დროს, რუსული ენა აღარ გამოდგებოდა, რადგანაც ებრაელების უმეტესობს თავისი დედაენა უფრო ემარჯვებოდა, — აგიტაციისთვის ებრაელ ენას მიჰმართეს...

ებრაელებში სოციალისტურ პარტიის განვითარება, 1888 წელს დაწყებული; 1893 დასრულდა, როდესაც უკნასკნელარ გამოიჩვენა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ

მოძრაობაში აგიტაციას და პროპაგანდას. „პოლიტიკურ უფლებების ხელში ჩაგდება, — სწერია ერთ წიგნაკში, რამელიც იმ დროს გამოვიდა, — მებრძოლ პროლეტარიატის უმთავრესი მიზანია. მაგრამ ამ მიზნის გათვალისწინება მუშა ხალხს შეეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიური ბრძოლა მს დაუმტკიცებს. რომ ახლანდელ პოლიტიკურ წყობილებაში მისი ეკონომიური მეგობარების გაუმჯობესება შეუძლებელი რამეა. მხოლოდ მაშინ როდესაც პროლეტარიატის მისწრაფებას წინ გადაედგება ეხლანდელი პოლიტიკური წეს-წყობილება და მთავრობა მუშათა მოძრაობის ჩაქრობას ეცდება, კლასიური ბრძოლა შეგნებულ პოლიტიკურ ბრძოლს სახეს მიიღებს.“ სჯა-ბაას და თეორიულ კამათს არ შეუძლია მუშა ხალხი ჩაითრიოს პოლიტიკურ ბრძოლაში ეკონომიურ ბრძოლის მიმდინარეობა თვითონ აუხელს თვალებს მუშა ხალხს და აიძულებს მთავრობასთან პოლიტიკურ ბრძოლის დაწყებას. იმისთვის, რომ მუშები შეეჩვიონ ბრძოლას, „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მუშებში აგიტაციი ჯერ წვრილმან, ადვილად გასაგებ მოთხოვნილებათა წამოყენებით უნდა დაიწყოს. ასეთ ბრძოლაში მუშები თვითონ ინტერესების დაკვას შეეჩვევიან და თან და თან უფრო რთულ მიზნებს დაისახევენ.“ აგიტაციის გასაწევად აგიტატორების მომზადება არის საჭირო და მათ მომზადებას უნდა ეკადონ სოციალ-დემოკრატიული წრეები. აგიტატორი ყოველთვის ხალხში უნდა ტრილებდეს, თვალ-ყურს ადევნებდეს ხალხის ქირსა და ვარამს, ხედავდეს ხალხის საჭიროებას, რომ ყოველთვის წინ მიუძღოდეს ხალხს, და ცდილობდეს ხალხის გაურკვეველ უქმყოფილებასა და სურვილებს მისცეს სოციალ დემოკრატიულ პარტიისთვის სასურველი სახე და მიმართულება.

„შეგნებულ ელემენტების მდმივი ურთიერთობა მასსათან აგიტატორებს ხალხის ერთად ერთ მეთაურებად აქცევს.“

მაგრამ ბრძოლის დროს აღამიანს უნდა ახსოვდეს, რომ მომავალმა კონსტიტუციამ შეიძლება რუსეთის ყველა მოქალაქეს თანასწორი უფლება არ მიანიჭოს. რუსეთში ახლანდელ წეს-წყობალების შეცვლის დროს ხალხი ჯერ კიდევ დაყოფილი იქნება კლასებად, წოდებებ-დ და ერებად. ყოველ კლასის, წოდების ან ეროვნების ძალა და უფლებები სახელმწიფოში დამოკიდებულია 1) მათ პოლიტიკურ განვითარებაზე, ე. ი. იმის შეგნებაზე, თუ რა ძალას წარმოადგენდენ ისინი საერთო ბრძოლის დროს და 2) დანარჩენ კლასების, წოდების და ერების ინტერესებზე პოლიტიკურ განვითარებასა და ძალაზე. პირველი — შინიური პირობები და მეორე გარეგანი პირობებია ამიტომ ებრაელ პროლეტარიატის მომავალი მეგობარობა რუსეთში დანოკიდებული იქნება 1) გარეგან პირობებზე, ე. ი. რუსულ ბურჟუაზიისა, თავდაზნაურობის, გლეხობის ინტერესებზე და რუს პროლეტარიატის პოლიტიკურსა და ეკონომიურს განვითარებაზე და 2) შინაურ პირობებზე, ე. ი. საკუთარ პოლიტიკურ განვითარებაზე და საკუთარ პოლიტიკურ ძალაზე, რომელსაც იგი გამოიჩენს რუსეთში დაწყებულ საერთო პოლიტიკურ ბრძოლის დროს.“

და, რაკი გარეშე პირობების შეცვლა ჩვენს ხელთ არ არის, ამიტომ უნდა ვეცადოთ ებრაელ პროლეტარიატის გაძლიერებას, რომ მან რუსეთის პოლიტიკურ ბრძოლის დროს შესაძენევი ძალა გამოიჩინოსო“

ამ სიტყვებში უკვე ნათლად გამოსკვირს ის გზა, რომელსაც ებრაელი სოციალ-დემოკრატია დაადგა, — თავის საკუ-

თარ ორგანიზაციის შექმნით ებრაელ სოციალისტურ ძალთათვის მაყრა და რუს სოციალ-დემოკრატებთან საერთო ბრძოლა

1894 წელს ებრაელების სოციალდემოკრატიულმა წრეებმა თავს მოქმედებას უშატეს და გაფრცხვების მოწყობასთან ერთად წიგნაკების გამოცემა დაიწყეს. ამასთან თან და თან უფრო გარკვევით მოსჩანს ცალკე ორგანიზაციის მოწყობის სურვილი: — „ჩვენი მოძრაობის პირველ წლებში ყველაფერს რუს მუშათა კლასისაგან ველოდით და ჩვენი თავი სრულიად რუსეთის დიდ მოძრაობაზე მიყრებულნი მიგვაჩნდა. ასე უყურებდა ებრაელების განვითარების საქმეს ბურჟუაზია რომელიც ყველაფერს რუსებისგან გამოელოდა. ბურჟუაზია უფრთხოდა საკუთარ ძალღონით ებრაელების საქმის მოწყობასო“. — ასეთი მიმართულება მასიური აგიტაციის დროს არ გამოდგებოდა.

აგიტაციას რომ რამე გავუენა ჰქონოდა ებრაელ მუშებში, ამ აგიტაციის ებრაული ხაზითი უნდა მისცემოდა: „ჩვენ ვგრძობთ ჩვენ მუდმივ კავშირს სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსებში სოციალ დემოკრატიული მოძრაობა ჯერ კიდევ შედარებით სუსტია. არ უნდა გვავიწყებოდეს აგრეთვე, რომ ჩვენი ლოზუნგ არის: „ყველაურის ხალხის საშუალებით მიღწევა“, და ეს ლოზუნგი ჩვენ ნებას არ გვაძლევს ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკურ და სამოქალაქო განთავისუფლებას ველოდეთ რუს ან პოლონელ პროლეტარიატის ბრძოლისაგან. მუშა ხალხი ჩვენში საკმარისად დილია იმისთვის, რომ შესაძენევი პოლიტიკური ძალა გამოიჩინოს ჩვენ ვიცით, რომ რუსი და პოლონელი მუშები თუ ვერ გამოარჯებენ, ჩვენც დიდს ვერაფერს მივალწევო, მაგრამ ჩვენ აღარ შეგვიძლია ყველაფერს გაიგველოდეთ რუს პროლეტარიატისგან ისე, როგორც ჩვენი ბურჟუაზია ყველაფერს რუს მთავრობისაგან და რუს ლიბერალ ჩინოფიცებისგან მოკლას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსების მუშათა კლასის თავის კლასიურ განვითარების დროს ისეთ წინააღმდეგობას შეეფუთება, რომელიც მას ყოველ ახალ გამარჯვებისთვის საშინელ მსხვერპლს მოსთხოვს მას და ამიტომ მხოლოდ თან და თან, მდგარ ბრძოლის შედეგ მოახერხებს იგი პოლიტიკურ და ეკონომიურ გამარჯვებას. ამ ბრძოლის დროს რუს პროლეტარიატს თუ არჩევანი მოუხდა და ზოგიერთ უფლებებზე ჯერ ჯერობით ხელის აღება დასკირდა, — ცხადია, რომ იგი ჯერ ისეთ უფლებებს დასთმობს, რომელიც ებრაელებს შეეხება, დასთმობს, მაგ., ეროვნულსა და საწმუნოებრივ თანასწორობას.“

მათლაც, რუს ხალხის და თვით მუშა ხალხის უმეტესობისათვის ეროვნული თანასწორობა პრინციპიალური საკითხი არის, და პრინციპებისთვის ბრძოლას კი მუშები იწყებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პრინციპები მათ ყოველდღიურ საქმირობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია და როდესაც მუშებს უკვე მეტი კლასიური შეგნება აქვს მოპოვებული.

ნუ თუ საფიქრებელია, რომ რუს მუშების უმეტესობა მოკლე ხანში ისეთი შეგნებული გახდება, რომ ისეთ პრინციპიალურ და განყენებულ მოთხოვნისთვის, როგორც არის ეროვნული თანასწორობა, მან სრულის თავანწიროვით ბრძოლა დაიწყოს. რუს მუშისათვის ეროვნული თანასწორობა განყენებული პრინციპია, ებრაელ პროლეტარიატისთვის

კი ეს თანასწორობა პრინციპისა და პრაგმა—მაქსიმუმის საკითხი კი არა, — მინიმალური მოთხოვნა არ ს, აუცილებელი. ძირითადი საკითხებია, ყოფნა-არყოფნის საკითხია.

და თუ საზოგადოებრივი მართალი არის, რომ „მუშათა განთავისუფლება თვით მუშების სკემა“, ისიც უტყუარ კეწმარტებდად უნდა ჩავთვალოთ, რომ დამონებულ და დაჩაგრულ ეროვნებათა მუშების ეროვნულ დაჩაგრვისგან განთავისუფლება თვით ამ ჩაგრულ ეროვნების მუშათა საქმე უნდა იყოს. „თავისუფლების ღირსი არ არის ის კლასი, რომელსაც მისი მოპოვება არ შეუძლია. ამნაირსავე მდგომარეობაშია ებრაელი მუშათა კლასიც. ცალკე ორგანიზაციის მქონე ებრაელი პროლეტარიატი საკითხების დროს ყოველთვის საკირო დახმარებას გაუწევს სხვა ეროვნების მუშებს განთავისუფლებულ ბრძოლაში, — საკიროა მხოლოდ ამ ორგანიზაციის შექმნა, რომელიც უნდა აერთებდეს და ზრდიდეს ებრაელ პროლეტარიატს.“

შეიძლება ზოგიერთმა სთ ვას, რომ, ცალკე ებრაელ ორგანიზაციის მოწყობა ებრაელ პროლეტარიატს ნაციონალისტობას გზაზე დააყენებს და ამით სოციალისტურ იდელებს დაავიწყებინოს ასეთი შიში უსაფუძლოა. მართლაც, ყოველივე ექვს გარეშეა, რომ სოციალისტური მომავალში ეროვნულ საზღვრების მოსპობას გამოიწვევს, მაგრამ „სანამ თანამედროვე საზოგადოება არსებობს, — ყოველ ეროვნებისთვის აუცილებლად საკიროა ეროვნული თანასწორობა. ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ ყოველივე უფლებას მოკლებულ ხალხის დაბეჩალება ხელს უშლის მის განვითარებას და რომ სოციალურ პარტიის მოვალეობაა ასეთ ხალხის გამოფხიზლება და მის გულში თავისუფლებისადმი მისწრაფების ჩანერგვა. მართლაც, ის მუშათა კლასი, რომელიც დაჩაგრულ ეროვნების მდგომარეობას ურიგდება და იგუებს, ასეთი მუშათა კლასი დაჩაგრულ კლასის მდგომარეობასაც ადვილად აიტანს.“

ეს აზრები საჯაროდ და გარკვევით წარმოითქვა 1895 წელს, როდესაც 1 მაისის დღესასწაულში ებრაელებში სოციალისტურ მიმართულების შესამჩნევი ზრდა დაამტკიცა, მაგრამ ამ აზრებს განხორციელება მიეცა მხოლოდ 1897 წელს, როდესაც ებრაელ სოციალ-დემოკრატების პირველი კონგრესი შესდგა და ამ კონგრესზე დაარსდა „სრულიად ებრაელ მუშების კარგშირი პოლონეთსა და რუსეთში,“ ან მოკლედ „ბუნდი.“ რაკი ებრაელ პროლეტარიატს თავისი განსაკუთრებული ინტერესები აქვს, ამიტომ მისთვის ცალკე პოლიტიკური ორგანიზაციაც საჭირო არის, რომ ამ ორგანიზაციამ განსაკუთრებული მეცადინეობა გასწიოს ამ ინტერესების დაცვისთვის. ეს ინტერესები შემდეგია: ებრაელებისთვის რუსეთში მოქალაქობრივ თანასწორობის მოპოვება და ებრაელ მწერლობის შექმნა. არავითარ „სრულიად რუსეთის“ ორგანიზაციის ამ ინტერესების ხეირიანი დაცვა არ შეუძლია რადგანაც მას მიზნად აქვს მხოლოდ ისეთ ინტერესებისათვის ბრძოლა, რომელიც რუსეთში მცხოვრებ ყველა ერს თანასწორად ეხება. ეს ბრძოლა ისეთი ძნელია და იმდენ მეცადინეობას მოითხოვს, რომ სრულიად რუსეთის პარტია სხვა და სხვა ეროვნებათა განსაკუთრებულ ინტერესებზე ზრუნვას ვერას გზით ვერ მოახერხებს. საამისოდ საკიროა სპეციალური ორგანიზაციები და ერთი ასეთი სპეციალური ორგანიზაცია ებრაელების „ბუნდი“.

ბუნდის პროგრამაში სრულიად რუსეთის ს. დ. პროგრამის უდრის, მხოლოდ ეროვნულ საკითხის შესახებ ბუნდის

წევრები „ეროვნულ თვითგამორკვევის“ დასახელებით ვერ კმაყოვილდებიან და აცხადებენ, რომ რუსეთში, სადაც მრავალი სხვა და სხვა ეროვნებაა დასახლებული არ შეიძლება ასე გაურკვეველად ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა, როგორც ამას სჩადის სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატია. „ეროვნული და კლასიური გამოფხიზლება ერთმანეთში განუშორებელი არის“, ამბობენ ბუნდის ერთაურები. თანასწორ მოქალაქობრივ უფლებების მოპოვება დაჩაგრულ ეროვნებისთვის არ კმარა, — აცხადებდა ბუნდის კრებაზე ერთი ებრაელი სოციალ-დემოკრტი, — გერმანეთში ისეთი თანასწორობა შემოღებულია და ყველას გერმანელსა და პოლონელსაც საჯარო კრებების მოწვევა შეუძლია, მაგრამ კრებას უნდა დაესწროს ხოლმე პოლიციელი და მას შეუძლია პოლონურ ენის უკოდინარობა მოიმიზეზოს და პოლონელების კრება დახლოვს. ასეთი რამე თუ გერმანეთში პოლონელ პროლეტარიატის შესახებ შესძლოა მით უფრო შესაძლო იქნება იგი რუსეთში, სადაც ხალხი კიდევ აკლებდ შეგნებულია. რად უნდა ჩვენ მუშა ხალხს კრებების თავისუფლება, თუ ამ კრებებზე სავალდებულო იქნება რუსული ენა და ჩვენი ხალხის ენას რუსულის სწორი უფლება მინიჭებული არ ექნა“.

ეროვნული საკითხი, რომელმაც ბუნდის მესამე კონგრესზე ცხარე კამათი გამოიწვია, მეოთხე კონგრესზე, 1900 წელს, ხელახლად აღძრეს, რადგანაც წინანდელ კრებაზე დასწრებმა მის შესახებ გარკვეული ტაქტიკა ვერ შეიმუშავეს. მეოთხე კონგრესზე დასწრე დელეგატები სამ ჯგუფად დაიყვენ. ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ „ყოველი ერთი ეკონომიურ, მოქალაქობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად ექვს ეროვნულ თავსუფლებას, რომლისთვისაც საკიროა, რომ ყველა ამ ეროვნების დამახასიათებელი თვისება: ენა, ზნე-ჩვეულება და საზოგადოებრივი ეროვნული კულტურა ყოველივე შეზღუდვისაგან თავისუფალი იყოს და განვითარებასაც დაუბრკოლებლად ახერხებდეს პოლონელს, ფინლანდელს, ებრაელს და სხვას სრული უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათ ეროვნულ თავისებურობას არაფერ ხელს არ ახლებდეს, რომ მათ გარუსებას არაფერ ცდილობდეს და რომ ამასთან ერთად თვით საზოგადოებრივ უკეთესად მოწყობილი იყოს და შეუძლებლად ხდიდეს საზოგადოებრივი ეროვნულ დაჩაგრვას. ამიტომ ეროვნულ უფლებათა დაღვევად უნდა ჩითვალოს მთელ სახელმწიფოში ერთი სახელმწიფო ენის შემოღება, — საკიროა, პირველად, რომ ყველგან, სადაც რომელიმე ეროვნებაა დასახლებული. სახელმწიფო მოხელეებმა ამ ეროვნების ენა იცოდნენ, რომ სასამართლოში, ფორტაში და ყველა სხვა დაწესებულებებში ამ ეროვნების ენაზე დაწერილ ქაღალდებს იღებდნენ.“ — ამ აზრს ყველა დამსწრე დელეგატი თანხმობდა და ყველა აცხადებდა, რომ ამ თანასწორობის მისაღწევად საკიროა ეროვნული ავტონომია იმ სახით, როგორც ეს ბრიტანის ცნობილ კონგრესზე გადაწყვეტილი იყო.

ამ ყველასათვის მისაღებ აზრების მიხედვით კონგრესზე დამსწრეთა ერთი ჯგუფი ითხოვდა, რომ ბუნდმა თავის პროგრამაში გარკვევით გამოაცხადოს ებრაელების ავტონომია. მაგრამ პროგრამაში რისიმე შეტანა საკმარისი არ არის, — საკიროა „ეროვნულ ავტონომიისთვის ებრაელ პროლეტარიატის მომზადება, მასში ეროვნულ შეგნების განვითარება, საკიროა მხნე ეროვნული ავტაცია, ებრაელების დიჩაგრულ მდგომარეობის ხშირად ხსენება, ეროვნულ ბრძოლის

გაცნობა, ამით ხალხის პოლიტიკური შეგნება უფრო ნათელი გახდება და ხელს შეუწყობს კლასიურ ბრძოლის გაცხოველებასაცო“.

მეორე ჯგუფი ამბობდა, რომ ებრაელი პროლეტარიატი დაჩაგრულია, როგორც პროლეტარიატი და როგორც ებრაელი, რუსი მუშები კი ამ ეროვნულ დაჩაგრვას არ განიცდიან. ეროვნული გამოფხიზლება მკიდროდ დაკავშირებულია პოლიტიკურ გამოფხიზლებასთან და ამიტომ უნდა მუდამ ვებრძოლოთ ეროვნულ ჩაგვრას და ხალხში მეტი ეროვნული შეგნება შევიტანოთ. მაგრამ ამ ჯგუფის აზრით ებრაელ პროლეტარიატის პარტიას ჯერ კიდევ საკმარისი ძალა აკლია იმისთვის, რომ თავისი განსაკუთრებული, კერძო მოთხოვნა წამოაყენოს და ამიტომ ებრაელებისთვის ავტონომიის მოთხოვნა ჯერ ჯერობით ნაადრვი არის.

მესამე ჯგუფი კიდევ უფრო შორს უღგებოდა ეროვნულ საკითხს და მახე ლაპარაკსაც კლასიურ შეგნებისთვის მანებლად სთვლიდა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კონგრესმა რეზოლუცია მიიღო, რომლის ძალით ს. დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ ეროვნულ დაჩაგრვის მოსპობა ამ პარტიის მოვალეობაა, რომ რუსეთი, როგორც მრავალ ერთგან შემდგარი სახელმწიფო უთუოდ ფედერატიულად უნდა მოეწყოს და ყოველ ერს უნდა ჰქონდეს მინიჭებული სრული ეროვნული ავტონომია, თუმცა ჯერ ჯერობით მისი წამოყენება ნაადრვი არის, რადგანაც ებრაელების პროლეტარიატს კიდევ ბევრი სხვა მოთხოვნა აქვს ამ ყამად დასაკმაყოფილებელიო.

მეოთხე კონგრესზე ეროვნულ საკითხის შესახებ ტაქტიკა საპოლოოდ კიდევ ვერ გადაწყდა, თუმცა აქაც ცხოვრება თან და თან წინ უსწრებს პარტიის გადაწყვეტილებას და როგორც წინეთ გაფიცების მოწყობა მუშებმა თვითონ დაიწყეს, პარტიის მეთაურთა სურვილის წინააღმდეგ, ისე კლასიურ შეგნებასთან ერთად ეროვნული გამოფხიზლება ებრაელებში მომავალ ავტონომიისთვის ნიადაგს ამზადებს და ბუნდის ორგანიზაციის მხნეობა და გამოცდილება იმისი თავდებია, რომ ისინი ამ მოთხოვნას, როგორც ხალხის სურვილს, შეასრულებენ და თავის მხრივ ხელს შეუწყობენ რუსეთში ფედერატიულ წესწყობილების შემოღებას, რადგანაც მხოლოდ ასეთი წესწყობილებაში ყოველ ეროვნების ცხოვრება თავისუფალი და საღი იქნება.

ებრაელები ემბრობიან ეროვნულს და ეწინააღმდეგებიან ტერიტორიულ-ეროვნულ ავტონომიას, რადგანაც მათ თავიანთი საკუთარი და საკმაოდ ვრცელი ტერიტორია არ აქვთ და უტერიტორიო ხალხს ხომ ტერიტორიული ავტონომია არ გამოადგება. მაგრამ მათის მოქმედების დედა აზრი, — ეროვნულ დაჩაგრვის ამტანი ადამიანი კლასიურ და ჩაგვრასაც ადვილად აიტანსო და ის მოთხოვნა, რომ ყველა ეროვნებამ თავისი საქმეები თვითონვე განავოს და საქმეში სხვების გარევისაგან თავისუფალი იყოს, — რუსეთში დასახლე, ბულ და დღეს რუსებისგან დაჩაგრულ ყველა ეროვნებას ეხება. მხოლოდ ბრძოლით შეიძლება გამარჯვება და გამარჯვების შემდეგი კი დამოკიდებულია გარეშე პირობებზე, — სხვა ეროვნებათა და კლასების მდგომარეობაზე და შინაურ პირობებზე, — ამა თუ იმ ეროვნების საკუთარ პოლიტიკურ ძალასა და გამოცდილებაზედაც და ყველას, ვისაც თავის ეროვნების პროლეტარ მუშების კეთილდღეობა სწყურია, უნდა ეცადოს მუშა ხალხში კლასიურ და ეროვნულ ბრძოლების შექმნას, როგორც აქას სჩადის ებრაელების სოციალ-

დემოკრატიული ორგანიზაცია — ბუნდი. ეს ბუნდი სრულიად რუსეთის ს. დ. პარტიის ბრძანებლობას საყვებით არ ემორჩილებოდა და უფრო დემოკრატიულად იქცეოდა, — საკუთარ ადგილობრივ საქმეებს იგი თვითონვე მართავდა და ამიტომ დღეს ებრაელების ბუნდი ერთი უძლიერესი ორგანიზაციაა რუსეთში და მხნედ მეთაურობს დასავლეთ რუსეთში და პოლონეთის ერთ ნაწილში სოციალ დემოკრატიულ მოძრაობას, რომელმაც თავზარი დასაო იქ როგორც კაპიტალისტებს, ისე მთავრობას, და რომელიც ნამდვილ სოციალისტურ ორგანიზაციად ითვლება იმისდა მიუხედავად, რომ ებრაელების ეროვნულ ინტერესებს მხნედ იცავს და ამ ეროვნულ ინტერესებისთვის ბრძოლას არ უშინდება.

თ — ლა.

წარსულის მოგონებანი

(1884—89 წწ.)

აღარ მახსოვს, რომელი წიგნი იყო, სადაც პირველად ამ დეკლარაციას ვხვდები, ის კი ვიცი, რომ იმ დროს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბოდენშტეტის ლექსებში. განსაკუთრებით მიტაცება საქართველოს აღწერა. საქართველო ჩემი გონების თვალის წინ რაღაც გრძნეულ და მშვენიერ ქვეყნად მეხატებოდა და გულში მისი ნახვის სურვილი მეზარებოდა. შემდეგ, როდესაც ცოტაოდნად გავცანი საქართველოს ისტორიას, ჩემთვის საეჭვო აღარ იყო, რომ ასეთ ძველ და განვითარებულ კულტურის პატრონს, ასეთ მშვენიერ ბუნებაში დასახლებულ ხალხს, მეტად მდიდარი პოეტური მწერლობა უნდა ჰქონოდა. დავწყე ამ მწერლობის შესახებ ცნობების ძებნა, მაგრამ ვერც გერმანულსა და ვერც ფრანგულს წიგნებში მისი უბრალო კვალიც ვერ აღმოვაჩინე. ამ მხრივ რუსული მწერლობაც მეტად ღარიბი გამოდგა.

მაშინ გადავწყვიტე, მე თვითონ მომიქმენა ქართული პოეზია და ქართულ ენის შესასწავლად მაშინდელ „კავკასის“ რედაქციას მივმართე და რომელიმე სახელმძღვანელოს დასახელება ვთხოვე; ეს 1882 წ. იყო. მალე ამ გაზეთის მაშინდელ რედაქტორისგან, თავ. დავით ერისთავისგან პასუხიც მივიღე, რომელმაც ჩემზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და ქართულ მწერლობის შესწავლის სურვილი გამიძლიერა. თავ. დავით ერისთავმა მალე ძველ და ახალ ქართულ მწერლობის შესახებ სხვა და სხვა მასალა გამომიგზავნა და 1884 წ. მე ამ მასალების მიხედვით ჩემი პირველი წერილი შევადგინე, — „დავიწყებული მწერლობა“, რომელიც დაიბეჭდა ლიუბკის ჟურნალში, — „Magazin fuer die Literatur.“ ამ წერილით გერმანელებმა ქართულ მწერლობის არსებობა პირველად გაიგეს, თუმცა შიდ მოთავსებული ფაქტები მეტად ღარიბი იყო და მხოლოდ მკითხველის ცნობის მოყვარეობას იწვევდა. საქირო იყო საქართველოს წარსულ და აწმყო ცხოვრების გაცნობა. თითქმის ორი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა ჩემი მიწერ-მოწერა თავ. დავით ერისთავთან. ამავე დროს თავ. ილია ქავკაძისგანაც რამდენიმე წერილი მივიღე. თავ. ილია ქავკაძემ მახალი-სებდა საქმის გაგრძობას, — მანვე ოთხ თავის ლექსის რუსული თარგმანი გამომიგზავნა. ამასთან თავ. რაფიელ ერისთავის ლექსებიც მივიღე. ამ მიწერ-მოწერამ და ქართველების გაცნობამ სურვილი აღმიძრა თვითონ წამოესულიყავი საქართველოში.

1884 წ. გადაწყვიტე რამოდენიმე კვირით ტფილისში მოსვლა. პირველად გემიდან რომ დავინახე აფხაზეთის მწველი მოფენილი მთები, ჩემს გატაცებას საზღვარი არ ჰქონდა, ტფილისში ჩასვლის მეორე დღესვე თავ. ილია ქავეკავაძესთან მომიწვიეს,—იქ დამხვდა თავ. რაფიელ ერისთავი, თავ. აკაკი წერეთელი, თავ. დავით ერისთავი, ნიკ. ცხეველაძე, ვლად. მიქელაძე და ავქს. ცავარელი. მე მიხაროდა რომ ქართულ მწერლობის სათავესთან ვიყავი.

რამოდენიმე დღის შემდეგ თავ. დავით ერისთავთან კიდევ რამოდენიმე მწერალი და თეატრის მოღვაწე ვნახე და გავიცანი. იმ დროს მწერალი ბევრი არ იყო, მაგრამ ყველა სკლით და გულით ემსახურებოდა მწერლობას, გატაცებით დახარაკობდა მათ და შესაფერ კოდნით აღტურვილიც აღმიჩნდა, რასაც მე ადვილად ვამჩნევდი, რადგანაც ვცდილობდი ყველასთან ქართულ მწერლობის შესახებ ლაპარაკს.

ქართველი საზოგადოდ გულახდილი და სტუმართ მოყვარე და ადვილად უმეგობრდება უცხო კაცს, რომელსაც გულს უშლის და მეგობრობას უცხადებს. ჩემზე და საზოგადოდ ევროპიდან ჩამოსულთაზე ქართველების ასეთი თვისება ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ტფილისში მხოლოდ ორი კვირა დავყავი. ამის შემდეგ ვიწვიე თავ. ილია ქავეკავაძეს მის მამულში, საგურამოში. ქართველ მგოსნის სახლი მაშინ უფრო ღარიბულად გამოიყურებოდა და ხეებიც მის გარშემო ჯერ კიდევ პატარა იყო; მაგრამ გარეგან სიღარიბეს ავიწყებდა სტუმარს სახლის პატრონის და მის მეუღლის სტუმართ-მოყვარეობა, —მაღესი შემიყვარდა იქაურობა, რომ დღესაც საქართველოს ეს კუთხე განსაკუთრებით მომწონს და მიყვარს. მარლაც, აქ პირველად გადამიშალა თავ. ილიამ ქართულ მწერლობის საურჯე, საღამოობით აივანზე მიკითხავდა ქართველ მწერლების ნაწარმოებს, მიხსნიდა ქართულ ცხოვრებას, მიამბობდა ერის წარსულ დროის თავგადასავალს... შორიდან არაგვის ტბილი დუდუნი გვესმოდა, დაბადრულ მთვარის მკრთალი ნათელი ეფრებოდა არე მარეს, და ადამიანი, ამ სანახაობით გატაცებული, თვალს ვერ აშორებდა მთებსა და ველებს. ამ პირობებში ერთმანეთს უახლოვდებოდა ორი სული, —ქართველის და გერმანელისა,—თავ. ილია გულში მიღვიძებდა და მიღვივებდა ქართველებისადმი სიყვარულს და, მართლაც, მას შემდეგ ჩემ სამწერლო მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი მე ქართულ მწერლობას შევწირე.

საქართველოში პირველად ჩასვლის ნაყოფი იყო წიგნი „Georgien und seine Beeohnwr“, რომელიც 1886 წ. დაიბეჭდა ლეიპციგში. ეს პატარა წიგნი შეიცავს ქართულ მწერლობის მოკლე მიმოხილვას და ჩემი მოგზაურობის პირველ შთაბეჭდილებას, რომელიც უმეტეს, ნაწილად ახლაც სამართლიანად მიმაჩნია. მაგრამ, საზოგადოდ წიგნაკი ზერეულედ შედგენილია და მას ყოველივე მნიშვნელობაც დაეკარგა მას შემდეგ, რაც ჩემი უფრო მოზრდილი თხოველება დაიბეჭდა, რომელსაც ჰქვია „Das Geurgische Volk“. თუმცა გერმანელებზე იმ პირველმა წიგნაკი „შთაბეჭდილება მოახდინა და იქედან ცნობებს იღებდა ყველა, ვინც გერმანიაში საქართველოს შესახებ რასმე დასწერდა.

არტურ ლეისტი.

(გაგრძელება იქნება)

მშერი და მოყვარი თანამედროვე მომართვისა

როდესაც შორიდგან გაითვალისწინებთ იმ ღიადს მოძრაობას, რომელიც ახლა გამეფებული მთელს საქართველოში, გავრდებთ შორსმჭვრეტელ პოეტის სიტყვები:

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს.

მართლაც ასეთი ძლიერი მაჯის ცემა, შეგნებული თავის გამოდგება და შეუღრეკელი ბრძოლა თავისუფლებას მოსაპოვებლად ხდის ჩვენს ხალხს სამაგალითო ერთად. საყურადღებოა ჩვენი მანკური აღფრთოვანება მით უმეტეს, რომ ჩვენს დროსაზე არ არის აღბეჭდილი კერძო მისწრაფება. ვიწრო ნაკიონალური ფარგალი არამც თუ არ ზღუდავს საკაცობრიო იდეალისადმი მიდრეკილებას, არამედ თვალსაჩინოდ და საქვეყნოდ აღიარებულია, რომ საქართველოს ერთი მაშინავე რაზმი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იგი იბრძვის საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად და შორს არის გამოაცალევეს თავისი ინტერესი რუსეთის საუკეთესო და ის მოთხოვნისკენაა წრიდან. ამ ორი წლის განმავლობაში გმირულმა და განსაკუთრებულმა ოპოზიციამ მთავრობისადმი ქართული ხალხი გააცნო მთელ ევროპას და კვლავ გახდა მისი სახელი სალაპარაკო საგნად. დაჩაგრულ ხალხის ერთმა მცირედმა ჯგუფმა გაბედა შებრძოლება შეიარაღებულ და შეუწყნარებელ ადმინისტრაციისთან და არა ერთხელ გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლის ველიდან. მთელი ერთი შეიპყრა გიმიკეთილ შობილებელმა აზრმა, „ერთი ზღვიდან მეორემდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს და ეს ფიქრია თავისუფლება“.

თავისუფლების ფიქრი ჩაისახა ჯერ გურიაში და შემდეგ ელვის სისწრაფით მოედო საქართველოს დანარჩენ ნაწილებსაც გლეხი და ახნაური, მღვდელი და მოხელე სულდგმულობენ ერთის ოცნებით, საერთო ლტოლვით. რამდენიც უნდა ისინიონ ჩვენმა მემამულეებმა, მინც ვიტყვი, რომ თავისი შეუზოვარი აღფრთოვანებით ქართველმა ერმა დაუპტიკა ქვეყანას, როგორც თავისი სწრაფი გამოღვიძება, აგრეთვე კულტურული მომზადება ახალი საკაცობრიო იდეალის შესათვისებლად.

რასაკვირველია, მახინჯი გამოერია ამ საერთო მოძრაობის მსვლელობასაც. მახინჯები ისინი გამოდგენ, ვინც მოინდომა ამ მოძრაობას წინ გადასდგომოდა და შეეფერხებინა იგი. ამ გვარ პირებს მომავალი ისტორიის უღმობელი მსჯავრი განსამართლებს და აწყყო ქაირზხალი შთანთქმეს, მიწასთან გაასწორებს და გაანადგურებს, ვითარცა უკუნურს, ცის რისხვასთან საბრძოლველად გამზადებულს.. ვაი იმათ, ვინც ვერ შეიგნო დროთა ბრუნვის ვითარება და გამკვლავდა ცხოვრების ჩარხის შეჩერებას ან უკან დატრიალებას! შეუჩერებელი ბორბალი ჩათრევის მათ ჩანჩქარში და გადასცემს მოარეგს ჩას.ნთქმელად!

დიდება და პატივი იმათ, ვინც აუღო ცხოვრებას ალღო, შეითვისა მომწიფებულ მოთხოვნილებათა სიმკაცრე და თავი მოიხარა მათ წინაშე ხელის შეწყობით და გასამეფებლად ახალს საძირკველზე!

გულს ნუ მოატყუებენ იმედით, რომ აწინდელი მოძრაობა დროებითია და წარმავალი თვალახვეულია ის, ვინც არსებუნებს ქვეყანას ხალხის მოუშაღებლობაში იდეალის განსახორციელებლად. მტერია ის ჩვენი ერისა, ვინც ამცნობს, რომ „ზღვიდან ზღვამდე“ აქაფებული სოციალური ტალღა ხელოვნურად შექმნილი იყოს რამდენიმე კვირალა პირის წყალო-

ბით, უვიცობა და თავხედობა სწორედ ამ ცილისწამებაშია ჩამარხული. მოაგონეთ ამ ბატონებს ევროპის ისტორიაში გავლილი ამბები—ეკერი, გლეხების მოძრაობა, რევორმაციისა და რევოლუციის მსვლელობასთან დაკავშირებული, და პირზედ ხელი დააფარეთ სიკრულის მთქმელს.

მახინჯე'ს სიტყვას და საკქეს გამოაუცლის ჩვენს თვალწინ მიმდინარე ისტორია, დარჩებიან სუფრის გარშემო ისინი, ვინც ღროზედ ხელი აიღო სიმკაცრით და ძალდატანებით შეეფერხებინა მომავალ საზოგადოებრივ სიშარბლის და თანასწორობის დამყარება. გამარჯვებული ის დარჩება, ვინც ერის გულისცემას თანაუგრძნობს და მასთან ერთად ათრი-ალებს წითელს ღროშას.

ს. ხახანაშვილი.

ხმისური ბერლია

უამბეს ბებერს ბერლიას ქვეყნის არევა-დარევა ცეცხლის მომდები ამბავი, მთელის ქვეყნისა დარბევა, „არ თუ გვაკმავეს ეს ქირი, გავება ვნახეთ რამდენა?!“ სთქვა და, აღმურმა თავ-პირზე შავად დაუწყყო ადენა. „რას უცდით, ახალ-უხლებო, ცხენებს არ ჰკაზმავთ რად არა? იმ-ლაშქრობაზე მყვირალი რად იმალება საღარა? ვაჰმე, რო მკლავი მოდუნდა, ხმალს ვერ მოიქნევს ჰალარა. გული თუმც მერჯის ტილი, მუხლები მომდევს აღარა. ვაჰ, დედა მტრისას, რას ელით? ხმლებს ჰკითხეთ, გაისარჯენით; თავის ადგილის გულისად მოკვდით და დაისაჯენით! დასცევ-დაფარეთ ქვეყანა თავის ოფლით და მარჯვენით! მტერი ვის გაუბრუნებავ მაღულაობის ჩადენით?!“ რა პირით ჰნახავთ ხევისურეთს ან საიქიოს ჰაპებსა? რას ეტყვი, თავის გარჯისას როგორს უამბობთ ამბებსა, მკვდრებს მოატყუებთ გგონიაო ცოცხალთად განაცხადვესა, თან მიიყოლებთ მანდილებს ბარის დიაცთა კაბებსა?! ნუ სჩადით უგვანს საქმესა, კისრად ნუ იღებთ სირცხვილსა: ბიჭი ის არი, საონრად ვინაც დაიწყებს ზიდვასა,— ვინც გამწარებულს სიცოცხლეს დაამჯობინებს სიკვდილსა. რას ვაქნევ აბა თქვენს გაზდას, თქვენს ქორწილებში სირბილსა?— ქეიფსა, ლხინ-გახარებას

და დიაცებში სიცილსა, თუ კი არ მაზხდით თავსა და თავის ქვეყანას სირცხვილსა?!.. ნუ იხამთ უგვანს საქმესა: მტერს დაზხვდით, გაისარჯენით! წესია: მამულისადა მოკვდით და დაიხარჯენით. ვერ იტყვის მაშინ ურჯულო, რო შასდრკით, დაიხალენით.. გამარჯვებულნიმც რქნებით თავის ხატით და გამჩენით!“

გაჭა-ფაგვეღ

ა მ ტ ო ნ ო მ ი ა*)

(ნ. ი. ლაზარესკისა.)

II

რა საჭიროა ხალხისთვის ავტონომია? რა მნიშვნელობა აქვს მის შემოღებას სახელმწიფოსთვის ან მის რომელიმე ნაწილისთვის?

ავტონომიის შემოღებით ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმე ექვემდებარება ხალხის სურვილებსა და მოთხოვნებს. ავტონომია შესაძლოდ ხდის მართვა-გამგეობაში ადგილობრივ ენების შეტანას. სახელმწიფოს რომელიმე ნაწილი თავის კულტურითა ან ზნე-ჩვეულებით დანარჩენ ნიწილებს თუ განერჩევა, ავტონომია და მხოლოდ ავტონომია ამ თავისებურობას ჯეროვან ანგარიშს უწევს, რაც კენტრალისტურ მთავრობისათვის ყოვლად შეუძლებელი რამეა. მაგრამ უკვე არსებულ კანონების ფარგალში მოქმედებს დროს და თვით ახალ კანონების გამოცემაში მთავრობას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს ხალხის ადგილობრივი თავისებურობა. შეუძლებელია ერთი და იგივე წესები შემოვიღოთ შიდა რუსეთის მცხოვრებთათვის, ჩერქეზებისთვის და პოლონელებისთვის.

პოლიტიკურ წარსულის და ისტორიულ ტრადიციების მქონე ერი ყოველთვის ეცდება თავის საკუთარ მართვა-გამგეობის მოწყობას; ცენტრისგან გამწესებულ და ცენტრის სურვილთა განმხორციელებელ ადგილობრივ მთავრობას იგი ყოველთვის მტრულის თვალთ შეხედავს და მას თავის ეროვნების დამჩაგვრელად დასახავს.

ამიტომ ადვილი ვასაგებია, თუ ავტონომიას ითხოვს თავისთვის ისეთი ერი, რომელიც დღეს-დღეობით ცალკე სახელმწიფოს არ წარმოადგენს, მაგრამ რომელსაც კულტურულ თავისებურობის გრძნობა აქვს, რომელიც არ იფიწყებს თავის წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებას, თავის ენაზე ლაპარაკობს და განსაზღვრულ, ცალკე ტერიტორიაზე არის დასახლებული.

მთელ სახელმწიფოსთვის ავტონომიის საკითხი უფრო რთულია. ხშირად გულწრფელად აცხადებენ, ავტონომია სახელმწიფოს მთლიანობას არღვევსო და ამიტომ, მისი შემოღება სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხეში მცხოვრებ ერთათვის მტრად სასურველიც რომ იყოს, მთელ სახელმწიფოს მთლიანობის გულისთვის მას მაინც ზურგი უნდა შევეუქციოთო.

ჩვენ არ შევცდებით, თუ განვაცხადებთ, რომ ამის მთქმელთაგან ერთ მეთაფსაც არ ეცოდინება, თუ რას

*) იხ. ივერია № 24.

ნიშნავს სახელმწიფოს მთლიანობა და სრული დარწმუნებული ვართ, რომ ვერაინ ვერ დაგვიმტკიცებს, რომ ეს მთლიანობა ვისთვისმე (და თუნდ თვით ამავე სახელმწიფოსთვის) რადმე საჭირო იყოს. ვერაინ ვერ დაგვიმტკიცებს, რომ შევიცარია ან ჩა დილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო ძლიერი შეიქმნებოდნენ და მათი მცხოვრებლები ახლანდელზე მეტ კეთილდღეობას მიიღწევდნენ იმ შემთხვევაში, თუ ორივე ფარმალურის მხრივ გაერთიანებული იქნებოდა და არა ახლანდელივით ფედერატიულად მოწყობილი და 22 კანტონისაგან ან 45 შტატისაგან შემდგარი. პირიქით, შევიცარიისა და შეერთებულ შტატების ისტორიას ყოველი ცოტაოდნად გაცნობილი ადამიანი იტყვის, რომ მხოლოდ მათმა ფედერატიულმა წესწყობილებამ შესაძლოდ გახადა მათის პოლიტიკურ არსებობის შეჩენა და იმ თავისუფლების უზრუნველყოფა, რომელიც იქ მცხოვრებ ხალხების კეთილდღეობას სარჩულად დაედვა

იმ აზრის დასარღვევად, ვითომც ავტონომია სასურველი არ იყოს იმიტომ, რომ იგი სპობს სახელმწიფოს მთლიანობას, ჩვენთვის სრულებით არ არის საჭირო დამტკიცება, რომ სახელმწიფოს და ხალხის ბედნიერებას მხოლოდ სახელმწიფოს მთლიანობა არა ჰქმნის. ამის დამტკიცება ჩვენთვის საჭირო არ არის იმიტომ, რომ ავტონომია სახელმწიფოს მთლიანობას არ არღვევს და არც ეხება.

ის სახელმწიფო, რომელმაც თავის რომელიმე ნაწილს ძალით მიანიჭა ავტონომია, ამით თავის მთლიანობას არ არღვევს, რადგანაც ავტონომიის შემოღების შეუდეგაც ცენტრალურ მთავრობის კანონები ეხება ყველა იმ საკითხს, რომელსაც თვით ეს ცენტრალური მთავრობა ისურვებს.

ცენტრალურ მთავრობას უფლება აქვს, საჭიროდ თუ დაინახა, შესცვალოს ადგილობრივ, ავტონომიურ დაწესებულებათა კომპეტენცია და მათ მოქმედებას მუდამ თვალს უწერდეს. ერთის სიტყვით ფარმალურად სახელმწიფო მთლიანობა რჩება; ავტონომიის შემოღების მიუხედავად, ყველგან მაინც უმაღლესი საერთო მთავრობა მოქმედობს, რომელსაც თვით ავტონომიურ პროვინციასშიც ვერ შეზღუდავს ვერაინთარი სხვა ძალა, რომლისგან დამოუკიდებელი სხვა რომელიმე ძალა არსად არ არის.

ეს ცხადია. მაგრამ ისინი, ვინც სახელმწიფოს მთლიანობის გულისთვის ებრძვიან ავტონომიას, იტყვიან, რომ ჰენრი სიტყვები თვორიულად მართალია, მაგრამ მათ მაინც ეშინიათ, რომ ავტონომია სახელმწიფოს მთლიანობას დაარღვევს. ზოგიერთები იტყვიან, რომ ეს სიტყვები ფარმალურის მხრივ იურიდიულად, შეიძლება, მართალ ც იყოს, მაგრამ მათ სახეში ფარმალური მხარე კი არ აქვთ, არამედ საქმის ნამდვილი მდგომარეობა; იტყვიან აგრეთვე, რომ მათ ის კი არ აწუხებს, იქნება თუ არა ფარმალურად ავტონომიის შემოღების შემდეგაც სახელმწიფო მთლიანი, არამედ ის გარემოება, თუ რამდენად შეუჩება სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილს ის შინაგანი კავშირი, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს გაძლიერებისა და თვით არსებობისთვის. ავტონომია, მათის აზრით, ამ შინაგან კავშირს შეასუსტებს და მოსპობს.

სხვები კიდევ განაცხადებენ. რომ, თუშეცა დღეს დღეობით ავტონომია სახელმწიფოს მთლიანობას არ არღვევს, მაგრამ ავტონომიის შემოღება ხალხში მის გაფართოების სურვილს აღვიძებს და ბოლოს ავტონომიურ პროვინციას სახელმწიფოს სრულებით ამოარებს.

გავარჩიოთ ორივე აზრი.

იმის გარჩევას თუ შევუდექით, თუ რამდენად მავნეა სახელმწიფოს ნაწილთა შინაგან კავშირისთვის ავტონომია, პირველ შეხედვით უთუოდ გვეგონება, რომ მას ასეთი დარღვევა მოჰყვება, მაგრამ საქმეს თუ ჩაუყვებლით, სულ წინააღმდეგ დასკვნას დავადგებით და დავინახავთ, რომ ამ შინაგან კავშირს არღვევს არა ავტონომია, არამედ ავტონომიის შემოუღებლობა იქ, სადაც ხალხში უკვე მომწიფდა ავტონომიის საჭიროება.

სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს თუ აქვს თავისი ისტორიული წარსული და ხალხში მტკიცე ეროვნული თვითშეგნება თუ არის გავრცელებული, — ავტონომიის შემოუღებლობა ადგილობრივ მცხოვრებლებში ეროვნულ მიმართულების გაძლიერებას იწვევს. ამ მიმართულებასთან ბრძოლა ცენტრალურ მთავრობას სახელმწიფოს ყველა ნაწილის საერთო მთავრობის ხასიათს უკარგავს და მას გაბატონებულ ეროვნების პარტიად ჰქმნის; მისი მოქმედება ყველასთვის აშკარად ხდის, რომ იგი მხოლოდ ცენტრის და არა მთელ სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. ამნაირ პირობებში ცენტრალური მთავრობა განაპირა ადგილებში მცხოვრებთა თვალში რაღაც უცხო, გარეშე ძალას წარმოადგენს, რომელსაც ყველა მტრულად ექცევა.

მთავრობა, რომელიც ამნაირად ებრძვის ხალხს, ძალა უნებურად უყურადღებოდ სტოვებს ხალხის ზოგიერთ კულტურულ მოთხოვნილებას. ვინ არ იცის, როგორი წამხდარი ხალხი მიდის ხშირად ჩინოვნიკებად განაპირა ადგილებში, სადაც მთავრობა ხალხს ებრძვის, ვნ არ იცის, როგორია იქ ადმინისტრაცია, ვინ არ იცის, რას წარმოადგენს ის სახალხო სასწავლებლები, სადაც სწავლა ეცხო ენაზე სწავლობს, რომელიც ხალხს არ გაეგება? განა შესაძლებელია მარცხსააჯულება იქ, სადაც ბრალდებულს მსაჯულის დაცობაც არ ესმის და მსაჯულს მოწმის ჩვენება არ გაეგება? ყველამ იცის, რომ ასეთ ადგილებში ხალხი საექიმო დახმარებასაც მოკლებულია.

ამნაირი პირობები ადამიანის დაუსრულებელ ტანჯვის მიზეზად ხდება.

და თანამედროვე კაცობრიობა, რომელიც ამყოფს იმით, რომ ადამიანს მსხვერპლად აღარ სწიჩავს ღვთაებას, — განა, ამით სახელმწიფოს მთლიანობის კერპს ცოცხალ ადამიანს არ აძლევს მსხვერპლად?

მაგრამ თავი დავანებოთ ამ საკითხს ზნეობრივ მხარეს და საქმეს იმათს თვლით შევხედოთ, ვინც ამ კერპის წინააღმდეგობას, — ჩვენ თავს ვკითხოთ, სჭირია თუ არა ხსენებულ კერპს ასეთი მსხვერპლი? თუ ავტონომიის მოსუზნე ეროვნებასთან ბრძოლა და ამ ბრძოლის შედეგი თვით სახელმწიფოს მთლიანობისთვის უსარგებლო და ხშირად მავნებელია?

ეს მსხვერპლი ხალხში მთავრობის მოქმედებით კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს და გულს უტრუებს იმ მთავრობაზე, რომელიც ხალხს მაინც არ უყვარს, რადგანაც იგი უცხო ნაციონალისტურ პოლიტიკას ადგია.

ეს უკმაყოფილება აუცილებლად იწვევს ხალხში ახალ გრძობებს და მისწრაფებას, რომელიც ყველას თანასწორად ედება და განზორების და განცალკევების გზაზე აყენებს ხალხის უმეტესობას.

ამნაირ სეპარატისტულ გრძობების მოსასპობად ცენტრალურ მთავრობას შეუძლია ხალხს უპასუხოს ან დათმობით,

ესე იგი ავტონომიის მინიჭებით, — არ რეპრესიების გაძლიერებით, ესე იგი ისეთ რითიმე, რაიც თავის მხრივ კიდევ უფრო აძლიერებს სეპარატისტულ მისწრაფებას და მდგომარეობას ამწვავებს.

შეიძლება, რასაც ვირველია, ისეთი რეპრესიებიც წარმოვიდგინოთ, რომელიც ტერორის სახეს იღებს და შეუძლებლად ხდის არა მარტო სხვა და სხვა გრძნობების და საზოგადოებრივ მისწრაფების გამოქვეყნებას — და, სხვათა შორის, სეპარატისტულ მიმართულების გაძლიერებას, — არამედ სპობს ყოველივე საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგრამ ასეთ რეპრესიებით შექმნილ დამშვიდებას არავითარი ფასი არა აქვს, რადგანაც ეს დამშვიდება არ არის და მას ნაშეტიანი ბევრი მსხვერპლი სჭირია. *sol.tudinem faciunt pacem abellant*, უდაბნოს ჰქმნიან და ამბობენ — დაეპაშვიდეთო.

ასეთის ფასით მოპოვებული სიმშვიდე, ესე იგი სეპარატისტულ მისწრაფებათა ჩაქრობა, შეიძლება, ზოგიერთს ისეთ მნიშვნელოვანად ეჩვენოს, რომ მთელ ეროვნების ამოწყვეტასაც აპართლებდეს...

დაეხედეთ, შეიძლება ყოველთვის ამ იდეალის მიღწევა თუ არა?

ისტორიაში არის იმის მაგალითები, რომ ზოგან რეპრესიებით განაპირა ადგილებში სეპარატისტული მისწრაფებანი აღმოუფხვრიათ. ამის მაგალითს წარმოადგენს ალზას ლოთარინგია. მაგრამ აქ რეპრესიებს სხვა და სხვა ადგილობრივმა პირობებმა მისცა განსაკუთრებული მნიშვნელობა და გავლენა. ეს ქვეყანა წინეთ გერმანული იყო და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გაფრანგდა; გაფრანგდა იქ განსაკუთრებით ხალხის მაღალი წრეები. გერმანელების ხელში ხალხმა შინაურ საქმეების მართვა გამგეობასა და კანონმდებლობაში მეტად ფართო ავტონომია მიიღო, რომელიც მას ცალკე სახელმწიფოს უფლებას უფრო აძლევს, ვიდრე პრუსიის უბრალო პროვინციისას ამას გარდა ალზასის და ლოთარინგიის ეკონომიური მდგომარეობა გერმანელების ხელში მეტად გაუმჯობესდა.

ამნაირ პირობებში ალზას — ლოთარინგიის სეპარატიზმი ყოველივე პრაქტიკულ ხასიათს მოკლებული იყო და ძველ სამშობლოსადმი იდეალისტურ მიდრეკილებას წარმოადგენდა. ეს მიდრეკილება ძლიერი იყო მოხუცებსა და ხნიერებში, მას ახალგაზრდებში ბევრად ნაკლება მნიშვნელობა აქვს.

ამნაირი, რეალურსა და პრაქტიკულ ნიადაგს მოკლებული მისწრაფება, რომელიც ძველ თაობასთან ერთად თავის თავად მოისპობოდა, გერმანიის მთავრობამ რეპრესიებით ადვილად აღმოფხვრა; გერმანიამ დააჩქარა ასეთ მისწრაფების მოსპობა.

სულ სხვა მდგომარეობაშია ყველა ის სახელმწიფო, სადაც დასახლებულია არა ალზასელი ფრანგები, არამედ ცალკე ეროვნება და სადაც ამ ეროვნებაში ავტონომიისადმი მისწრაფების მოსასპობად ცენტრალური მთავრობა ხალხის გადაგვარებას, მის გაგერმანელებას ან გარუსებას ეცდება.

ამნაირ პირობებში, — ეს გადასაგვარებელი ეროვნება ეროვნულ შეგნების ტკულტურულ თავისებურობის გრძნობას მოკლებული თუ არ არის, — ვერავითარი გარეშე ძალა ვერ მოსპობს მასში ხსენებულ გრძნობებს, ვერავითარი ძალა ვერ დააიწვევს მას წარსულ ისტორიულ ცხოვრებას და თავის ჩულტურულ თავისებურებაზე ხელს ვერ ააღებინებს.

ამნაირ პირობებში ყოველსავე ძალდატანებას ერი და იგივე პრაქტიკული შედეგი მოჰყვება: ხალხს დაჩაგვრა, ხეობრივად და ფიზიკურად მისი დატანჯვა, მასთან ბრძოლა და მისი დაბეჩაფება.

განაპირა ადგილებში ხალხის ძალით გადაგვარებამ შეიძლება ის ნაყოფი გამოიღოს, რომ ქუჩებში და დუქნებზე რუსული წარწერები იქმნება, რომ სახანო დაწესებულებებში მოხელეები რუსულად ილაპარაკებენ, მაგრამ რუსების სიყვარული, რუსებთან გაერთიანების სურვილი ასეთ ძალადობას ვერას გზით ვერ მოჰყვება.

ყოველივე ნაძალადევი გადაგვარებით გამოწვეულ ხალხის დატანჯვას ყოველთვის მოჰყვება ისეთი შედეგი, რომელიც პირდაპირ იმის წინააღმდეგია, რასაც გაბატონებული ეროვნება მიეღობს; მისი სიყვარულის მაგიერად დაწინებულ ეროვნებაში სახარულ უღელის თავიდან მოშორების სურვილი იღვიძებს.

სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილის ერთმანეთში შეკავშირების მხრივ ასეთი მდგომარეობა მეტად საშუაბრო და მავნებელია.

რუსეთში კი ადამიანმა თავის თავს შემდეგი დაკითხვა უნდა მისცეს: შეგვიძლია თუ არა იმისი იმედი ვიქონიოთ, რომ განაპირა ადგილები თვითონ გარუსდენ და თავისი ეროვნული თავისებურება და ელფერი დაჰკარგონ?

ზოგიერთ ეროვნების შესახებ ამის თქმა ყოველად შეუძლებელი რამეა.

იმ ერებში, რომელთაც ოდესმე პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჰქონიათ, მათი ჰთავრობა თავის დროს ეროვნულ გრძნობებს ზრდიდა, — დანარჩენებში და საზოგადო ყველა ცოტადნად მოზრდილ ერებში ეროვნულ გრძნობებს ასაზრდოებს მათი ეკლესია, მათს მწერლობის კილო და საზოგადოების საერთო გრძნობა და მისწრაფება. ამნაირ პირობებში ნაციონალისტური მიმართულება თავის თავად არ მოიპობს, — ცენტრალურ მთავრობის რეპრესიები მხოლოდ ამაღლებენ ამ მიმართულებას ხალხის თვალში და მათ ჰოჯისას და წარმტაც სახესაც მისცემენ.

აქ კიდევ ერთი რამე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში: წინათ ადგილობრივ პატრიოტიზმს წარმომადგენლად გამოდიოდნ ოსტების ბარონები, პოლონელი მემამულენი და ფინლანდიის შედეგილი თავადახანაურბა.

ამნაირ უმნიშვნელო ჯგუფებთან ბრძოლა მთავრობას არ უძნელდებოდა. ხალხის უმეტესობა საქმეში არ ერეოდა და ამა თუ იმ კუთხის კულტურული სახე არ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზას ადგებოდა თვით ხალხი, რადგანაც ხალხის სახელით მოქმედობდნ და გამოდიოდნ საზოგადოებაში გაბატონებული წრეები.

მაღალ წოდებათა წარმომადგენლების შესარიგებლად მთავრობას ბევრი საშუალება აქვს. ოსტების ბარონთა გულის მოსაგებად მთავრობა მათ გვარდიში უფროს აფიცრებად იღებდა; პოლონელ თავადახანაურბას სასახლეში სხვა და სხვა თანამდებობას აძლევდნ. თვით რეპრესიები საზოგადოების უმცირესობის წინააღმდეგ ადვილია და ხშირად ნაყოფიერიც ყოფილა.

ახლა სულ სხვაა: თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების დემოკრატიზაციამ წინანდელი ბატონობა დაუკარგა პოლონელ მემამულეთ დასავლეთ რუსეთში, გერმანელებს ბალტიის მხარეში და შედეგებს ფინლანდიაში.

სამაგიეროდ ხალხის უმეტესობის მნიშვნელობა იზღდება და იქ, სადაც ხალხის უმეტესობა რუსი იყო (ან მალორუსი), ესე იგი რუსეთის დასავლეთ მხარეში, საზოგადოების ამ დემოკრატიზაციამ და არა მთავრობის გადაგვარების პოლიტიკამ, თან და თან გაარუსა მთელი ეს კუთხე. იქ, სადაც ხალხის დაბალი კლასები სხვა ეროვნებას ეკუთვნიან, ვიდრე თავდაზნაურობა, რუს მთავრობის გამარჯვებულმა პოლიტიკამ, რომელიც *divide et impera*-ს საშუალებით მოქმედებდა, ცოტაოდნად ხელი შეუწყო ძველ პატრიოტიზმთან ერთად ახალ ადგილობრივ პატრიოტიზმის შექმნას (ესტები და ლატიშები ბალტიის მხარეში, ფინები ფინლანდიაში), იქ კი, სადაც ხალხის ყველა კლასი იმავე ეროვნებას ეკუთვნოდა (პოლონეთი, სომხეთი, საქართველო), გარუსების პოლიტიკამ ვერა ვითარი შესამჩნევი ნაყოფი ვერ მოიტანა.

საზოგადოებრივ წყობილების ხსენებულმა დემოკრატიზაციამ და ხალხის ფართო წრეებში პატრიოტულ გრძნობების გავრცელებამ შესამჩნევად გააძლიერეს ხალხის საოპოზიციო ძალები იქ, სადაც მთავრობა ხალხის ძალად გადაგვარებას ცდილობდა.

პოლონელი მემამულე, ვაჭარი ან მექარანე ყოველთვის აშკარად გრძნობს თავის ინტერესების სოლიდარობას შთლიან სახელმწიფო ინტერესებთან და მთავრობისაგან თავის დამოკიდებულებასაც ხედავს; პოლონური ენა მისთვის ერთად ერთი სალაპარაკო ენა არ არის; მის ზნე-ჩვეულებასაც ეროვნული ელფერი დაეკარგა.

სულ სხვაა მდებარე ხალხი. იგი ვერაფერში და ვერასოდეს ვერ ხედავს და ვერ გრძნობს თავის ინტერესების კავშირს შთლიან სახელმწიფოს ინტერესებთან. მისი დედა ენა მისთვის ერთად ერთი სალაპარაკო ენაა და ხშირად მას კიდევ სწამს, რომ ყველა წმინდანებიც ამ ენაზე ლაპარაკობდნენ. ის კანონები, წესები და ჩვეულებები, რომელთაც ხალხი შეჩვეული არ არის, მას უცხო და საჩინოსი ჰგონია. ნაციონალისტურ გრძნობების გავლენა ხალხში მით უფრო დიდია, რომ ამ გრძნობებზე ხშირად დაკავშირებულია ხალხის სარწმუნოებაც, რომელიც ამ გრძნობებთან ერთად ხალხისთვის უძვირფასეს სულიერ განძს წარმოადგენს.

როდესაც ადგილობრივ ნაციონალიზმის წარმომადგენლად ხდება თვით ხალხის უმეტესობა, მთავრობას მის საწინააღმდეგოდ აღარაფერი არ შეუძლია; ვერავითარი მოსყიდვა აქ ვერ მოხერხდება.*)

ხალხის უმეტესობის საწინააღმდეგოდ რეპრესიები გამოუყენებელია, რადგანაც მთავრობის ხალხთან შებრძოლება ისეთი უაზრობაა, რომელიც წარმოსადგენიც არ არის. მაგრამ დაბრმავებული მთავრობა თუ ხან და ხან ამ გზას ადგება და ხალხის უმეტესობას ბრძოლას უცხადებს, ამით იგი გაბატონებულ ეროვნებაში აღიერებს უზნეო გრძნობებს, — სიძულვილს, ძალმომრეობის სურვილს, — დამონებულ ხალხს კი უკანონობისა და შურის ძიების გზაზე აყენებს. ამნაირად ხსენებული სისტემა ორივე მებრძოლ მხარეს უზნეობის მორცეში ადგებს.

აქ უნდა ვიკონიოთ მხედველობაში, რომ რეპრესიები თავის თავად ერთგვარი დასჯაა და, როგორც ყოველი დას-

ჯა, მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში გამოსაყენებელია. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც დასჯილს შეგნებული აქვს თავისი შეცდომა და შეუძლია სხვა გზაზე დადგომა. რეპრესიებს, ამიტომ, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს იმათთვის, ვინც შეგნებულად შეათურობს ხალხის ეროვნულ მიმართულებას. მაგრამ იგივე რეპრესიები უმნიშვნელო რჩება ხალხის უმეტესობისთვის, რომელიც თავის რწმენის, ეროვნულ მიმართულების მონაა, რომელიც მონა იმისი, რომ მხოლოდ თავისი ედენა იცის, რომ მას მხოლოდ თავისი ზნე ჩვეულება და თავის ცხოვრების წესი მიანიჭა სწორად და სამართლიანად უბრალო გაუნათლებელ ადამიანს ვერავითარი დასჯის შიში ბუნების კანონებს ვერ შეაცვლევინებს.

ორი მებრძოლი მხარე, — მთავრობა და ადგილობრივი ნაციონალიზმი, — სამუდამოდ ვერ გაჩერდებიან იმ წერტილზე, რომელიც არც ერთს მათგანს არ აკმაყოფილებს. ერთ-ერთმა მხარემ მეორეს უნდა დაუთმოს: ან ადგილობრივმა ეროვნებამ თავისი სახე უნდა დაჰკარგოს, ან მთავრობამ უნდა დაანებოს თავი ცენტრალისტობისა და გადაგვარების ცდას და ადგილობრივ ხალხს უნდა მიანიჭოს ავტონომია.

მაგრამ იმ მხარემ უნდა დაუთმოს, რომელსაც შეუძლია დათმობა... ადგილობრივ ეროვნებას, მისთვის სასარგებლოც რომ იყოს ასეთი ცვლილება. არ შეუძლია თავის ეროვნულ სახის უარისყოფა; ეს სახე მას ბატონობს და არ ემონება მას. მთავრობას კი ამა თუ იმ გზაზე შეგნებულად დადგომა შეუძლია: მას შეუძლია გაიგოს თავის სურვილთა უნაყოფობა და მათზე ხელიც აიღოს იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა თვით სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, შეუძლია მისცეს ადგილობრივ ეროვნებას თავისუფლება, ე. ი. მიანიჭოს მას ავტონომია.

როდესაც კულტურულად განცალკევებულ ეროვნებას ავტონომია ეძლევა, მაშინ და მხოლოდ მაშინ ისპობა თავის თავად ყველა ის მიზეზი, რომელიც ცენტრის თვალში განაპირა ადგილებს რაღაც მტრულ ელფერს სდებს და ამ ადგილებში მცხოვრებ ერების გულში ცენტრისადმი საძულვილს აღიერებს.

ავტონომიის შემოღება ხალხში სახელმწიფოს დამრღვეველ გრძნობებს სპობს, გაბატონებულ ეროვნებისადმი სიძულვილს ასუსტებს და სახელმწიფოს ნაწილებს ერთმანეთში საერთო მიზნებით აკავშირებს და აერთებს.

ამნაირად სახელმწიფოს მართვა-მგეობაში გარეჯან ერთფეროვნობის მოსპობით სახელმწიფოს ნამდვილი მთლიანობა მტკიცდება.

(დასასრული იქნება.)

სინდიატაზი და ტრასტაზი

კაცობრობის ისტორიაში მეცხრამეტე საუკუნეს ერთი მხრივ პირველი ადგილი უნდა დაეთმოს: ამ საუკუნეში საოცარი ცვლილება მოხდა ხალხთა საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში, მაგრამ ამაზე უფრო დიდის სისწრაფით განვითარდა და გაიზარდა მეცნიერება და ტექნიკა, რომელსაც პროცესი სამეურნეო და საზოგადოებრივ განვითარებისა შედარებით ძალიან ჩამორჩა. ავიღოთ რამდენიმე მაგალითი.

უწინ ბაზარში იყიდებოდა მხოლოდ რეალური საქონელი, იყიდებოდა მხოლოდ ის, რაც თვალთ ჩანდა, ან რაც

*) ადგილობრივ გლეხობის მოსასყიდად პოლონეთში გლეხობა ბატონ-გმობისგან განათვისუფლეს, მაგრამ თვით ამ რეფორმის შემომდგენიც ახლა აღიარებენ, რომ ეს ზომა პოლონეთის გარუსებას ვერ მოუხმარა.

მოხვედრის მინც შეადგენდა რეალურ საქონელს: ხორბალი, ხილი, ღვინო და საზოგადოდ მიწის მოსავალი. ეხლა კი ბაზარში იყიდება ისეთი და იმდენი საქონელი, რომელიც სრულიად არ არსებობს. ავადკრო ხელშეკრულობაში დაწვრილებით არის აღნიშნული რაოდენობა საქონლისა, ჰესი ფასი, ჩაბარების დრო და სხვა, მაგრამ ნამდვილად საქონლის მაგივრად იყიდება ფიქტია ცარიელი სიტყვა; რადგან რაოდენობა ნამდვილად არსებულის ან მოსალოდნელ საქონლისა გაცილებით ნაკლებია ბირჟაზე დატრიალებულ საქონლის რაოდენობაზე.

ყველაფერი ბირჟის თამაშია და ახრად ის აქვს, რომ საბირჟო ფასები ან ასწიოს, ან დასწიოს. მაგალითად, მარტო ნიუ იორკში ყოველწლიურად საშუალოდ იყიდება 50 მილიონი ბუშელი ხორბალი, „სამერმისოდ“ კი—867 მილიონი და ზოგჯერ მეტც, ე. ი. ნამდვილზე თხუთმეტჯერ მეტი. ამერიკის სამი დიდი ბირჟა წელიწადში ჰყიდის 2 მილიარდ ბუშელს, ე. ი. მთელ ქვეყნის მოსავალზე გაცილებით მეტს. ისტორიკოს ბრაისის გამოანგარიშებით 1887 წელს ამერიკის ბირჟებზე გაიყიდა ნამდვილზე 50 ჯერ მეტი ნავთი. ამრიგად ბირჟაზე იყიდება შოგონილი საქონელი და ამ „საქონელზე“ ზოგნი მილიონებს იგებენ და აგებენ.

მეორე მაგალითი: უწინ ვაჭრობაში უბრალო არითმეტიკული ზომა არსებობდა,— გირვანქა ვერსი, ფუთი და სხ. საქონლის ღირებულობა განიზომებოდა მის წონით და სიგრძით. ეხლა რკინის გზებმა ეს წესი ყირამალა გადაატრიალეს. ეხლანდელი სარკინისგზო ტარიფი იმას კი არ იღებს მხედველობაში, თუ რამდენ მანძილზე და რა წონისაა გადასატანი საქონელი, არამედ უფრო იმას აქცევს ყურადღებას, თუ „რომელ საქონელზე რამდენ ფულის აღება შეიძლება.“

მესამე მაგალითი: თუ უწინ რომელიმე საქონელი თავის ალაგას ერთი მანეთი ღირდა, სხვაგან იმავე საქონელს უმატებდნენ გადასატან ხარჯს და რაც უფრო შორს მიდიოდა ეს საქონელი, მისი ფასიც თანდათან მატულობდა. ეხლა კი ხშირად პირიქით ხდება: ათას ვერსის სიშორეზე რომელიმე საქონელი უფრო იაფად ფასობს, ვიდრე იქ, სადაც ამ საქონელს აკეთებენ. მაგალითად, რუსეთში გაკეთებული შაქარი ადგილობრივ გირვანქა 17—18 კაპ. ღირს, ინგლისში კი რუსეთიდან გატანილი იგივე შაქარი ორჯერ და სამჯერ უფრო იაფად იყიდება. ინგლისის ვაჭრობის დეპარტამენტის ცნობებით 1900 წელს გერმანიის, მეფეთლების ფაბრიკები ასეთ ფასებში ჰყიდდნენ თავ ანთ საქონელს: გერმანიაში 1 ტონა იყიდებოდა 185 მარკად, გერმანელ ვაჭრებს იმავე საქონელს აძლევდნენ 175 მარკად მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მათ ეს საქონელი საზღვარგარეთ გაეტანათ, უცხოელებს კი იგივე საქონელი ეძლეოდათ 155 მარკად.

იმავე დეპარტამენტის ცნობით 1905 წელს რეინ-ვესტფალის შავი ქვის სინდიკატი ამ საქონელს უცხოელებს 8.20/ს-ით უფრო იაფად აძლევდა, ვიდრე შინაურ ვაჭრებს გერმანიაშივე სახმარებლად. ცნობილია, რომ ფრანგებისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი თავიანთივე შაქარი შვეიცარიიდან გამოიწერონ და ბაჟიც გადაიხადონ, ვიდრე თავიანთ ბაზარზე იყიდონ. აქედან ცხადია, რომ ძალიან ხშირად საქონელი თავის ადგილზე უფრო ძვირად ფასობს ვიდრე ათას ვერსის სიშორეზე, ან იმავე სიშორიდან უკან მოტანილი საქონელი უფრო იაფია, ვიდრე იმ ქარხანაში, სადაც ეს საქონელი გაკეთდა. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ,

რომ უწინდელ ვაჭრობა მრეწველობის ერთა-ერთმა რეგულიატორმა—თავისუფალმა კონკურენციამ თავის პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და მის ალაგას ახალი რეგულიატორი გაჩნდა: ტრესტი, კარტელი და სინდიკატი—ი ეს არის ეხლანდელ ვაჭრობის ახალი რეგულიატორი.

ასეთ ცვლილებების მიზეზის ასახსნელად შექველად მხედველობაში უნდა მივიღოთ და თვალი გადავავლოთ შრომის ისტორიის უკანასკნელ ორი ათას წლის განმავლობაში. ამ ისტორიაში ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ უკანასკნელ ხანებში საოცარის სისწრაფით გაიზარდა და განვითარდა წარმოება: თუ უწინ ამა თუ იმ ნივთის გაკეთებას უნდებოდა დიდი დრო და რამდენიმე კაცი, ეხლა იგივე ნივთი კეთდება მანქანით მეტად მოკლე ხანში და უფრო უკეთესად. ჰომეროსის მაგალითიდან სჩანს, რომ ძველ საბერძნეთში 25 კაცისთვის საჭირო ხორბლის დასაფქველად საჭირო იყო თორმეტ კაცის მუშაობა განუწყვეტლივ 24 საათის განმავლობაში. ამ მაგალითს დაუპირისპირეთ ჩვენი დრო: ამერიკაში ორთქლის წისქვილებზე ერთ კაცს ზედახედველობით დღეში იმდენი ფქვილი მზადდება, რომ იგი საკმარისია 4000 კაცის გამოსაკვებად. ეხლა ერთი კაცის მექანიკური შრომა იმდენ ფესხსემელს ამზადებს, რამდენსაც უწინ 1000 კაცი დასკარდებოდა; ეხლანდელ ფიქარის შრომა უდრის წინანდელ 300 ფიქარის შრომას და სხვ.

როგორც ვხედავთ, ეხლანდელ ადამიანის საჭარბო ძალამ საოცარის სისწრაფით წაიწია წინ უმთავრესად იმის გამო, რომ ტექნიკა განვითარდა, წარმოება შეჯგუფდა და საქონლის გადატან-გადმოტანაც გაადვილდა. უწინდელ დროში საჭირო საქონელი ოჯახში მზადდებოდა, და თუ საჭირო იყო ისეთი საქონელი, რომელიც ოჯახში ვერ მომზადდებოდა, ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა ხელისნები, რა-მლებმაც საშუალო საუკუნეებში კავშირი შეჭკრეს და ამქრობა დააარსეს. ეს იყო ხანა ხელის წარმოებისა და სასოფლო მეურნეობისა. ეხლა ყველაფერი შეიცვალა: ამქრების ადგილი ფაბრიკამ და ქარხანამ დაიკრა სადაც თავს იყრის აუარებელი ხალხი და რომლისთვისაც საჭიროა დიდი თანხა. მეორე მხრით რკინის გზებისა, ტელეგრაფისა და ტელეფონის გამოგონებამ გააიფა მისელა მოსკლა და საქონლის გადატანა. ამის გამო განვითარდა კაპიტალის დატრიალება და მოძრაობა, რაიც უწინდელ დროს არ იყო. მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ისეთი სახელმწიფო, სადაც უცხოელთა კაპიტალიც არ იყოს წარმოებაში დაბანდებული. რუსეთში აუარებელი ფაბრიკა-ქარხანა და რკინის გზები აშენებულია ფრანგებისა, ბელგიელებისა, ინგლისელებისა და გერმანელების ფულით. ინგლისელების მილიარდები მთელ ქვეყანაზე დაბანდებული. თუ უწინ ამა თუ იმ საქონლის გაკეთებას მთელი წლის აუარებელი შრომა უნდებოდა, ეხლა იმავე საქონელს ერთი დიდი ფაბრიკა რამდენიმე დღეში ამზადებს და რამდენიმე დღეში ქვეყნის ერთ კუთხიდან მეორე კუთხეში გზავნის. თანამედროვე მრეწველობამ არ იცის ზომა და საზღვარი წარმოებასა, რასაც ხშირად მოსდევს ვაჭრობისა და მრეწველობის კრიზისი, რომელიც ხშირად დიდ უბედურებით თავდება ხოლმე მრეწველებისთვისაც და მუშებისთვისაც. 1893 წელს მარტო მასაჩუსეტის შტატში კრიზისის გამო დაიკეტა 271 ფაბრიკა და რამდენიმე ათი ათასი მუშა ულუკმაპუროდ დარჩა. კრიზისებს გამარჯვებამ პოლიტიკურ ეკონომიას ერთი დიდი საკითხი დაუყენა წინა რით

შეიძლება კრიზისის მოსპობა? წინანდელი სკოლა პოლიტიკურ ეკონომიისა და რწმუნებული იყო, რომ თავისუფალი კონკურენცია წარმოების ერთად ერთი და საუკეთესო რეგულიატორიაო, მაგრამ ცხოვრებამ და სინამდვილემ ეს თეორია უარყო და დაამტკიცა, რომ თავისუფალი კონკურენცია თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში იმ როლს ვეღარ ასრულებს, რომელსაც მას აწერდნენ. თანამედროვე წარმოება მუშაობს ან მთელ ქვეყნისთვის, ან რომელიმე სახელმწიფოსთვის. კონკურენცია უფრო და უფრო მწვავედება და მასთან ერთად მატულობს მნიშვნელობა შეერთებულ წარმოებისა და კავშირისა. ამიტომ ხდება კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაცია.

კონცენტრაციის ბუნებრივი შედეგი გამოიხატება სინდიკატებისა და ტრესტების აღორძინებაში. მათი ისტორია არის ისტორია კაპიტალის კონცენტრაციისა. სინდიკატი (ტრესტი) არის მრეწველთა კავშირი, რომელსაც მიზნად აქვს წარმოება მაზრის მოთხოვნილებას შეუფარდოს და საქონლის ფასი არ დასცეს. ამრიგად სინდიკატი მრეწველთათვის წარმოადგენს საურთიერაო დამხმარვე საზოგადოებას კრიზისებისგან და უზრუნველ ჰყოფს მათს მოგებას.

სხვა და სხვა ქვეყანაში სინდიკატები და ტრესტები სხვა და სხვა ფორმას იღებენ. ზოგან სინდიკატებს მიზნად აქვთ რომელიმე ქვეყანაში ერთნაირი ფასი დააწესონ ამა თუ იმ საქონელზე, ზოგან სინდიკატები ამა თუ იმ ქვეყანას რაიონებად ჰყოფენ და ყოველ რაიონში ესა თუ ის მრეწველი აცხადებს მონოპოლიას თავის საქონელზე, ზოგან კი. — მაგალითად ამერიკაში, — სინდიკატები წარმოადგენენ უზარმაზარ დაწესებულებას, რომელიც ხშირად ხელთ იდებებს ხოლმე რომელიმე საქონლის მონოპოლიას მთელ ქვეყანაზე. ამერიკის ნავთობის ტრესტმა, განთქმულ მილიარდერის როკველერის მეთაურობით, ხელთ იგდო თითქმის მთელი ამერიკის ნავთობის წარმოება და მთელი ქვეყანა თავის ბაზრად გადაქცია. ასევე მოიქცენ ამერიკის შაქრის ქარხნების პატრონები და ასევე მოიქცა ამერიკელი მილიარდერი პირმონტ მორგანი, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინა დ უზარმაზარი გემების მწარმოებელი ტრესტი დააარსა და ლამის არის ხელში ჩაიგდოს მთელი ამერიკის საზღვაო ვაჭრობა.

სინდიკატები და ტრესტები ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში სწრაფად მრავლდებიან და იზრდებიან. გერმანიაში 1880 წელს ირიცხებოდა მხოლოდ 13 სინდიკატი, 1890 წ. — 119, 1891 წელს — 137, ხოლო 1900 წელს — 290, ესე იგი ოცი წლის განმავლობაში სინდიკატთა რიცხვმა 22-ჯერ იმატა. 1902 წელს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ირიცხებოდა 350 სინდიკატი და ტრესტი, რომელთა კაპიტალი უდრიდა 60 მილიარდ მანეთს.

ტრესტების ზრდა და განვითარება მეტად სიშიშო ეკონომიური მოვლენაა, თუ გავიხსენებთ იმ ბოროტებას, რომელიც თან მოსდევს მათ მონოპოლიის გამეფებას. სახელდობრ ამგვარ მონოპოლიის შედეგია ხშირად შინაურ მოხმარებაში საქონლის ფასების არაჩვეულებრივი აწევა და გარეთ კი, პირიქით, მათი დაწევა. ყველა სამართლიან პრეტესტს აცხადებს და კითხულობს, რისგან არის, რომ აქვე, წიმი ხელით გაკეცილებულ საქონელს მე უფრო ძვირად ვყიდულობ. ვიდრე ცხრა მთას იქით გადაკარგული ინგლისელი და ამერიკელი. გაიხსენათ ისევე რუსეთის შაქრის მაგალითი, რომელიც რუ-

სეთში 17-18 კაპ. იყიდება, ინგლისელები კი იმავე შაქრით ლორებს ასუქებენ.

მაგრამ ამასთანავე უნდა ვთქვათ, რომ სინდიკატები და ტრესტები ისეთ საზოგადოებრივ ფუნქციებსაც ასრულებენ, რომელნიც სასარგებლო არიან მთელი საზოგადოებისთვის: მაგალითად, სინდიკატები კრიზისების რისკებს ამცირებენ, შეთანხმებით მოქმედობენ მუშათა ორგანიზაციებთან და ასეთი კოტათი მაინც ხელს უწყობენ ვაჭრობა-მრეწველობის წესიერ მიმდინარეობას.

პ ა თ რ ი ო ტ ი

(მინიატიურა)

ლენერალი ზარბაზანიძე — სამხედრო ლენერალი ზარბაზანიძე, — არ შესკდემ, მკითხველო, და არამც და არამც სამოქალაქო ლენერალი არ გეგონოს, თორემ მეტი ბედის უკუღმართობა აღარ გინდა. მაშინ ისა სჯობიან, განიზნო ფერხთა შენთაგან მტკერი მიწისა საქართველოასა და ცხრა მთას იქით გარდაიხვეწო... შო, იმას ჰოგახსენებდი, ლენერალი ზარბაზანიძე, — აი, ჩენი ცნობილი მხედარი, რომლის გმირობის ამბავს, იქნება, ისტორიის კაბადონები ჯერ არ აეჭრელებინოს, მაგრამ, ვფაცავ შენს ძვირფასს სახელს ახლო მომავალში უეჭველად ააჭრელებს, — განრისხებული იყო.

განრისხებული იყო სწორედ ისე, როგორც შეუძლიან განრისხება დიდ-ხარისხოვან კაცს, რომელსაც რუსეთის ყველა ჩინი და ორდენი აქვს ერთის გარდა და რომელიც დღედღემე ამ ერთსაც მოვლის.

ხომ გინახავს ნისლით მობურული მთა, — შავის ნისლით, რომელიც სეტყვას მოასწავებს. იქნებ, ისიც შეგენიშნოს, რომ წამითი წამ ამ შავს ნისლს აქა-იქ უცხად გააპობს ხოლმე ცეცხლის ზოლი და წამივე გაქრება — ეს ელვავა, რომელიც სივრცეში ცეცხლის გველივით დასლიკინობს.

და თუ ყველა ეს გინახავს, ჩემო მკითხველო, მაშინ ადვილად შეგძლიან წარმოადგინო ლენერალ ზარბაზანიძის განრისხებაც.

წარბებ-შეკმუხცილი, შუბლ-დანაკებული, გაქარხლებულის სახით, ტალკვისისავით ცეცხლის გამოქრობოთ თვალებით, იგი ბოლოას სცემდა თავისს უშველებელს კაბინეთში. იმ ზომამდე იყო გულის წყრომა მისი უსაზღვრო, რომ გენერალს თავისი ოცახი თითქო ებატარავებოდა, როგორადაც ლომს გალია. წამ-და-უწუმ ხელებს იქნევდა, გეგონებოდათ, ვილაცას ემუქრებო. ხან-კი გაჩერდებოდა ერთ ადგილას თავის ქნევით, წაივლებდა წვერში ხელს და დაუწყებდა წევას, თითქო მოვლევას ჰლამობსო. ამავე დროს სახეზე ერთი მეტყველება მეორესა სცვლიდა, — ეტყობოდა, რომ ლენერლის ტვინი დიდს მოძრაობაში იყო და სხვა-და სხვა აზრები უღმობლად დაფორიაქობდა იმის თავში.

— ცილისწამება და ასეთი! — წამოიყვირა უცხად ლენერალმა, მერე სტაცა ხელი სამწერლო მაგიდაზე მდებარე მოკეცილ გაზეთს, დააშტერდა ერთ ადგილს, რომელიც წითელი კარანდაშით იყო შემოხაზული, უყურა ერთ ხანს ამ შემოხაზულს ტუჩებზე მწარე ღიმილ-მომდგარმ: და ბოლოს გამძინვარებით დაანარცხა გაზეთი მაგიდას.

— ცილისწამება თუ უნდათ და... მე ვუჩვენებ იმათ სიერს!.. ღენერალი ზარბაზანიძე ნუ ვიქნები, თუ ბედი არ ვაწყველონი იმ მჯღაბნელებს!.. გავიწილა ასეთი თავხედობა! აქაო და წერა ვიციოთ, ასე ჰგონიათ, იმის ნებას მივცემ, რომ ჩემი სახელი და პატიოსნება თავიანთ უწმინდურ კალამზე წამოაოცონ! მე ვუჩვენებ, როგორც უნდა კალმის ტრიალი!

ამ მოკლე მონოლოგის დასასრულ ჩვენმა ბუმბერაზმა ღენერალმა, იმის ნიშნად, თითქო ვილაცას შუაზე უპირებს გაკვეთასო, ისე დაიქნია მარჯვენა ხელი, რომ პავონის მისამაგრებელი ზონარი გაუწყდა და პავონი მხარზე ჩამოვიდა. ეს ამბავი ჯერ ვერ შენიშნა ღენერალმა, ისე იყო გატაცებული თავისი აზრით, მაგრამ, როცა სხეულის მოძრაობის გამო პავონმა აქეთ-იქით ტლაკუნით დაიწყო, ღენერალი განრისხდა, იტაცა ხელი და მხრიდან პავონი მსწრაფლ მოიგლიჯა.

— საროკინ! — შეჰყვირა მან ხმითა დიდითა.

კარი ქურდულად გაიღო და ოთახის ღირებე გამოჩნდა მოსამსახურე ჯარის-კაცი, სარივით გაძვებილი.

— რაო? შენც მე დამცინი?! ჰაი, შე მაწანწალავ, შე... შე... შე... ვირო!..

— შხადა ვარსამსახურისათვის, თქვენო ბრწყინვალეებო! — წაილულულა გაფთრებულმა საროკინმა, რომლის იერ-დაკარგული სახე გადმო ორუხეზულ მათლაბას მიემსგავსებოდა; შუაში ღილივით რაღაც ამოზურთულიყო, გვეცინებოდათ, დასოროლებული ცომის ნაქერი მიჰკვრიოდა. ეს გახლდათ ცხვირი საროკინისა, ამ ჟამდ პატრონთან ერთად გაფთრებული და დიდ დამლეუარებულთ!

— გახლავარ, თქვენო ბრწყინვალეებო!

— ეს რა არის?.. რა არის ესა? რა არის ესა? ეკითხებოდა ღენერალი კბლების ღრქენით საროკინსა და თანაც პირისახეში პავონსა სჩრიდა.

— პავონი გახლავთ თქვენის ბრწყინვალეებისა, თქვენო ბრწყინვალეებო! — კვლავ წაილულულა ახლა მთლად გალურჯებულმა ჯარის-კაცმა.

— მერე, სად უნდა იყოს ესა?

— თქვენის ბრწყინვალეების მხარზე, თქვენო ბრწყინვალეებო!..

— მერე, რატომ აქ არ არის?..

— აღ.. ბად..

— აღბად რა? მე მოვიწყვიტე? როგორ მიბედავ, შე...

— აღბად, მე ვერ შევავი კარგად, თქვენო ბრწყინვალეებო... წარმოსთქვა სხაბა სხუბით საროკინმა, რომ ღენერლისათვის ეკვი განეფანტა.

— მე შენ დაგზერტავ! ჩამოგახჩობ!.. ზარბაზნის ლულაზე მიგაკრავ და ქარს გავატან შენს მყარს მძორს! ყვიროდა გაცოფებული ღენერალი და თანაც მხარს უშვერდა საროკინს, რომ პავონი მიემაკრებინა.

საწყალი საროკინი აკანკალებულის ხელით ცდილობდა მიემაკრებინა პავონი და ვერ ახერხებდა, რადგანაც ზონარი ძირში იყო გაწყვეტილი. ამის გარდა, საშინლად უნდოდა ცხვირის მოხოცვა, წმ-და-უწუმ ცხვირის ნესტოთი ჰაერს ისრუტავდა და ნაზღელუად, ქურდულად ხელს გადასვამდა ხოლმე. რომ როგორმე მოეკლა უცბად აშლილი სურვილი. ღენერალი გაჰკიოდა „დაგზერტავ“, „ჩამოგახჩობ“, „ზარბაზნის ლულაზე მიგაკრავ“-ო.

ძნელი სათქმელი იყო, რითი გათავდებოდა ეს ამბავი, რომ მეორე კარებიდან ოთახში არ შემოსულიყო ერთი ხან-ში შესული მანდილოსანი დარბაისლურის იერისა, ღენერალ-დახურული.

— რა არის, შენს გაზდას, იოთამ! რომ არაფერს არა ჰგავს მაგისთანა აღელგება?! სხვა არა იყოს რა, თავს მაინც გაუფრთხილდი, ყმაწვილო!.. შენს ხანში მაგრე ცეცხლის მოკიდება საშიშია... — მიმართა ქალმა ღენერალს, რომელსაც ეხლა პავონი უკვე მხარზე ჰქონდა.

— რაო? — მიუბრუნდა წარბებ-შეკმუნული ღენერალი მანდილოსანს — შენ მეუბნები მაგას? შენ? მე? რას ამბობ? თავს გაუფრთხილდე, თავს? გაუფრთხილდები კი არა, ყირამალა დაედგები... ოთხზე ვიელი და იმათ ჯავრს ამოვიყრი... რას უდგებარ აქ, მხეცო, ნადირო, ვირო? — მიუბრუნდა უცბად ღენერალი საროკინს, რომელიც კვლავ კარებთან იდგა გაშოტილი, გულ გადმოგდებული, ინდაურით აფხორილი.

— ველი თქვენის ბრწყინვალეების ბრძანებას, თქვენო ბრწყინვალეებო!

— გაეთრიე!

საროკინი მსწრაფლ მიტრიალდა მარჯვენა ფეხის ქუსლზე, მარცხენა ფეხი იატაკზე გაქლასუნებით მარჯვენას მიადგა, ანაზღელუად გაჩერდა ერთ ადგილს და მერე მარცხენა ფეხი გადადგა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მანდილოსანი სავარძელში დაეშვა და ხელში კრილოსანს ათამაშებდა. ღენერალი გაჯავრებული ბოლთასა სცემდა.

— არა, მე შენა გკითხავ... ვარ, თუ არა, მე ღენერალი იოთამ ზარბაზანიძე? — მიმართა ღენერალმა მანდილოსანს, რა მიუხსლოვდა მას და გაჩერდა სავარძელთან უკან ხელებდაწყობილი

— მიპასუხე ვარ, თუ არა, მე ღენერალი იოთამ ზარბაზანიძე?

— ხარ, ყმაწვილო, ხარ... წინააღმდეგს ვინ გეუბნება?! — უპასუხა გაკვირებით ქალმა.

— ხომ მაქვს მე ორდენები: წმინდა სტანისლავისა, წმინდა ანანასი წმინდა ვლადიმერისა, წმინდა გიორგისა, ალექსანდრე ნევესკისა? ხომ მაქვს?

— მერე, ვინ გართმევს, იოთამ! — მე ხომ...

— არა! — გაწყვიტინა ქალს სიტყვა სახის დაბრეცილ ღენერალმა. — ხომ მაქვს ყველა ეს?

— გაქვს, გაქვს, გაქვს... მერე?

— ხომ მაქვს მე ოქროს იარაღი?

— გაქვს...

— ხომ მაქვს მე... აქ ღენერალი დაფიქრდა — რა მაქვს კიდევ? — ჰკითხა მან თავის აკუნტურებით ქალს.

— რა ექნა? შენ უფრო კარგად არ უნდა იცოდე რაცა გაქვს?! — უპასუხა ქალმა დამცინავის ღიმილით.

— რა მაკლია კიდე?

— რა ვიცი, ყმაწვილო, რა მაკლია? მე ხომ ორდენების კაპიტული არა ვარ, მე რომ მეკითხები..

— მე მაკლია ორდენი თეთრის არწივისა — წამოიძახა ცოტა სიჩუმის შემდეგ ღენერალმა და იმის შეკმუნვნილი სახე, ცოტა არ იყოს, გაიხსნა, ნათლით შეიშოლა, ტუჩებზე კი კჳაყოვილება ღიმილად გამოქანასკვა. ეს ცეკვლის-შფრქვევი, სეტყვა-ქუხილად გადაქცეული ადამიანი ერბაზმად დაამდა, დასცხრა.

— დიალ!— განაგრძო ღიმილით მე მაკლია ორდენი თეთრის არწივისა. მერე, სალომე, — მიუბრუნდა იგი მანდილოსანს— განახავს შენ როდისმე ორდენი თეთრის არწივისა? არ განახავს? ჰაი შე საცოდავო, შენა! მაშ ქვეყანაზედ რაღა განახავს? რა იცოდე, რა მშვენიერია... განიერი ღურჯი ლენტი და უშველებელი ვარსკვლავი... იი, შენს ტუტუტ მას რომ აქვს — ის კი არ გეგონოს... ვის ეკადრება? .. ვარსკვლავზე ორ-თავა შავი არწივია... ამ ორ-თავა შავ არწივს პირში ჯვარი უჭირავს... მაშ! ჯვარ... და ამ ჯვარზედ კი უშველებელი თეთრი არწივია — ერთ-თავა... როგორია, ჰა? მოგწონს განა!.. ჰმ!.. გადაივლე გულზე ლენტი, ზედაც ის ვარსკვლავი ჩამოიციდე... ჰმ... მე ვიცი, არ მომიხდება თუ... ხომ შუაზე გაიპრიწა, შუაზე ის ჩენი, უკაცრაო პასუხია, ღენერალი ქექაძე. მაგრამ ვერ მივართვი... ვერა!.. ბევრი ჩაილულის წყალი ჩაივლის, ვიდრე ის თეთრი არწივის ორდენს ეღირსება. ვერ მოვართვი, ღენერალო ქექაძე, თეთრი არწივის ორდენი... ვერა!.. ჰა... ჰა... ჰა...

ღენერალი ეშში შევიდა. ოცნებამ ისე გავიტაცა, რომ აწმყო დაავიწყდა და ასე ეგონა, ვითომც თეთრი არწივის ორდენი ზედა ჰკიდია და მისი ბედნიერების მხნავი ღენერალი ქექაძე შურისაგან ლამის შუაზე გაიქაქოს. ამიტომაც, ღენერალმა მონოლოგი სიცილით დაასრულა, იმგვარის სიცილით, რომელიც მისიანა ჩინოსანს კაცებს სწევიათ ხოლმე. ეს სიცილი ერთის მხრით თუ სიცილს ჰგავს, მეორეს მხრით — იაბოცხენის ზვიზინის მოგავგონება, როდესაც ეს პატროსანი ცხოველი ჰხედავს პატრონს, ქერის დასაყრელად მისკენ მიმავალს.

— არა, შე დალოცვილო შენა, ასეთი დამშვიდებული, დაწყნარებული ღაპარაკი არა სჯობიან იმ ღრინაეცელსა და იმ ალიაქოთს, რომელიც შენ წელან ასტეზე? — მიმართა ცოტა არ იყოს ყვედრების კილოთი მანდილოსანმა ღენერალს მაგრამ, რა შენიშნა ღენერალს სახეზე ცვალებადი შეტყვევება, მსწრაფლ ტუჩზე იკბინა და ხმა გაკმინდა.

— რაო? — დაიქუხა უცბად ღენერალმა და წელანდელივით გაეცოფინდა. — შენა გგონია, მე დამავიწყდა ის საშინელი ცილის წამება?!.. გინდა, რაღა, მიაფუჩეო?!.. ვერ მოვართვი, კნენინა სალომე!.. ვერა!..

— ყმაწვილო, რა ცილისწამება? განა რა არის აქ მასაფუჩეზედელი? — შეეკითხა გაკვირვებით კნენინა სალომე.

— როგორ თუ რა არის? — შეჭკვილა ღენერალმა. მერე მიუახლოვდა ქალს, შემოიყარა ღრინაეცელი და თავის აქეთ-იქით ქნევით მკაფიოთ წარმოსთქვა: — მე, რუსეთის სახენდრო ღენერალს, თავად იოთამ ზარბაზანიძეს, კავალერს ყველა ორდენებს-სას, გარდა თეთრის არწივის ორდენისა, რომელსაც ახლო ხანში მოველი, — ვილაც ქართული გაზეთი მიბედავს და პატ... რი... რის მემახის?!.. როგორ? შენს აზრით ეს ცილისწამება არ არის? როგორ, განა ეს მოსათმენია?!.. არა და ათასჯერ არა! ქვეყანას შევესძრავი... რედაქციას ალყას შემოვარტყავი! ზარბაზნებს დავლ შენი! ავაობ? ებ... გავაცამტვერებ...

კნენინას უნდოდა რაღაც ეთქვა ღენერლისათვის, მაგრამ მან არ დააცალა და თითონ განაგრძო:

— შენ შენის დადაკატურის ქკუით როგორ მიხვდები, აქ ვისი ოინებია!.. კარგად ვიცი, საიდამაც ჰქრის ქარი... ეს სულ იქ ქექაძის თილისმებია. იცის, რომ თეთრი არწივის ორდენს მოველი და ჩემად, გარედან მესროლა სარმა .. იმე-

დი აქვს, მთავრობამდე მიადწევს ღენერალ ზარბაზანიძის პატრიოტობის ამბავიო და ორდენს აღარ მისცემენო. აუოია და მოუსყიდნია გაზეთი... მე პატრიოტი გამოვეყვარ... რის პატრიოტი ვაო, რა პატრიოტი ვარ? რა ეშმაკად მინდა ეგ პატრიოტობა? რას მოველი ქართველებსაგან? მე ვიცი, ჩინი არ მომცენ... ორდენი არ მომცენ... ღმერთო განამდიეროს რუსეთის მთავრობა!.. ყელამდის საფე ვარ მისის წყალობით... არა! საიდან მოაქორეს ეს ცილისწამება?

— მერე, რითია პატრიოტობა უფარგისი, ყმაწვილო? — როგორც იყო შეაპარა კნენინამ სიტყვა, როცა აქამდე სხვა სხუპით მოლაპარაკე ღენერალი ახლა სულს ითქვამდა.

— როგორ თუ რითია? — შეჭკვილა გაკვირვებით ღენერალმა — პატრიოტი მტერია სახელმწიფოსი, ხელმწიფისა, ტახტისა!.. მაშ! პატრიოტები უნდა ჩამოაღრჩონ, დახვრიტონ!.. და ამის შემდეგ მე პატრიოტი!

— დამშვიდდით მამაჩემო! — უთხრა ოთახში შემოსულმა ყმაწვილმა კაცმა — აქვენ ვერ გავგივით მნიშვნელობა გაზეთში დაბეჭდილ სიტყვებისა.

— როგორ თუ ვერ გამიგია, ბოლვანი! — შეუბუზღუნა შვილს ღენერალმა.

— ნუ იღანძღებით... ისე, რომ ვერ გავგივით. აქ სწერია — ყმაწვილმა აიღო გაზეთი და დაიწყო შემოხაზული სტრიქონების კითხვა — „რუსეთის სახელოვანი ღენერალი და პატრიოტი თავადი ზარბაზანიძე“ და სხვა... — გაიგეთ?

— მერე რაო? ეს წინადაც ვიცოდი...

— ისა, რომ სიტყვა პატრიოტი, მართალია, თქვენს პატრიოტობას შეეხება, ხოლო არა ქართველისას. არამედ როგორც რუსისას ყური დამიგდეთ: „რუსეთის სახელოვანი ღენერალი და პატრიოტი“... ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენა ხართ რუსეთის სახელოვანი ღენერალი და რუსეთისავე სახელოვანი პატრიოტი და არა ქართველი პატრიოტი.

— არა, მაოთლა? არ მატყუებ? — დაეკითხა ცოტა არ იყოს ეჭვის კილოთი ღენერალი შვილს; ამავე დროს იმის სახეზე ღრუბელმა თანდათან ზევ-ზევით აიწია და ბოლოს იგი სრულიად გაიფანტა. ღენერალს ტუჩებზედ კვლავ დამილი შეუთამაშდა.

— მართალში რას მამლევ, — რომ ტყუილში რამე მომცე! — უპასუხა დაცინვით შვალმა.

— მაშ თუ აგრეა... ყოჩად გაზეთო!.. დღესვე გამოიწერეთ... ჰა ჰა-ჰა — ჩაიციინ-ჩაიხვინინა ღენერალმა — ვერ გასქრა ქექაძის ოინებმა, ვერა! ჰა-ჰა-ჰა!.. თეთრი არწივის ორდენს მაინც მივიღებ, მივიღებ, ჰა-ჰა-ჰა...

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ფოტის სავაჟო გიმნაზია

აცხადებს, რომ მისადები გამოცდა მოწაფეებისა მოხდება ავვისტოში შემდეგის რიგით: 21 სა და 22-ს — მოსამზადებელ კლასში, 23-ს — პირველ კლასში, 24-ს — მეორე კლასში და 26-ს — მესამე კლასში. გამოცდა დაიწყება ხოლმე დალის რვა საათზე, ხოლო სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბერს.

დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი
ა. იაგულოვი.

ი. ა. 1739
12
1906